



მოკლა მიმოხილვა | 2018

მოზარდთა მშობლობა

მოზარდთა
მშობლობისა და
მოზარდთა მშობლობის
მხარდამჭერი
პროგრამების კვლევა
საქართველოში

@ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018
გარეკანის ფოტო: თამარ ჯიბუტი

გაეროს ბავშვთა ფონდი

ერისთავის ქ. 9, გაეროს შენობა
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 2 25 11 30, 2 23 23 88
ელ.ფოსტა: tbilisi@unicef.org

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნის ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მოკლე
მიმოხილვა

2018

მოზარდთა მშობლობა

მოზარდთა მშობლობისა
და მოზარდთა მშობლობის
~~მხარდამჭერი პროგრამების კვლევა~~
საქართველოში

შინაარსი

შესავალი	8
კვლევის მეთოდოლოგია.....	9
კვლევის მიგნებები	10
როგორ ესმით, როგორ აღიქვამენ და აღზრდის რა მეთოდებს მიმართავენ მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მშობლები/ აღმზრდელები	13
რა გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ინტერპერსონალური და მაკრო ფაქტორები მშობლების აღზრდის მეთოდებსა და პრაქტიკებზე.....	29
ვის მიმართავენ მოზარდები და მათი მშობლები ფორმალური და არაფორმალური მხარდაჭერისთვის	35
რეკომენდაციები.....	38

მადლიერება

მოზარდთა მშობლობის ეროვნული კვლევის ანგარიში მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული კვლევის ფარგლებში. კვლევა ეხებოდა მოზარდთა მშობლებისათვის მშობლობის მხარდამჭერ პროგრამებს და მასში მონაწილეობდა რეგიონის 6 ქვეყანა. კვლევაში გაეროს ბავშვთა ფონდის სხვადასხვა პროგრამების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ მოზარდთა განვითარებისა და მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადაუხადოთ ეროვნული მკვლევების გუნდს: ანი ჩხიკვიშვილს, სოფო ომანაძეს, ქრისტინე ლორთქიფანიძეს და მარიამ თოფურიას, რომლებმაც შეასრულეს მონაცემთა შეგროვების სამუშაოები და მოამზადეს ეროვნული კვლევის ანგარიში.

კვლევის მომზადება ვერ გახდებოდა შესაძლებელი ქ-ნი ლეილა ომარ გადის, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელის საქართველოში, მხარდაჭერისა და ქ-ნი ილარია ფავეროს, იუნისეფის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლის, მხრიდან კოორდინაციისა და პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელობის გარეშე.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა მოზარდს, მშობელს, მომვლელს/მზრუნველს, პოლიტიკოსს, მომსახურების მიმწოდებელს, ბავშვსა და მოზარდილ მონაწილეებს, რომლებმაც გაგვიზიარეს თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრეს კვლევის მიგნებები. იმედი გვაქვს, რომ მათ ხმებს გაითვალისწინებენ მოზარდთა მშობლობისა მხარდამჭერი ინიციატივების განსაზღვრის დროს საქართველოში.

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თავიანთი შვილების ემოციურ და კოგნიტურ განვითარებასა და ქცევის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, აღზრდის სტილი, რომელსაც ისინი ბავშვის აღსაზრდელად მიმართავენ, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელიც მათ მოზარდობის პერიოდის რთულ გზაზე სიძნელეებსა და მოთხოვნებთან გასამკლავებლად ესაჭიროებათ. მტკიცებულებების მიხედვით, მშობლები დიდ როლს თამაშობენ მოზარდების ღირებულებების ჩამოყალიბებაშიც, რადგან სწორედ ისინი უდგენენ ბავშვებს ნორმებსა და მოთხოვნებს აღზრდის პროცესში.

მიუხედავად მშობლების მნიშვნელოვანი გავლენისა მოზარდების კოგნიტურ, სოციოემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე, ამ ასაკობრივი ჯგუფის მშობლების როლის შესახებ იშვიათად ტარდება კვლევა, სპეციფიკური სწავლება, ტრენინგი თუ მონიტორინგი. ხშირად მშობლები აღზრდას აღიქვამენ, როგორც პროცესს, რომელიც თავისთავად წარმართება; მაგრამ მაშინაც კი, როდესაც აცნობიერებენ ინფორმაციის მიღების აუცილებლობას აღზრდის პოზიტიური მეთოდებისა და მხარდაჭერი პროგრამების სარგებლიანობის შესახებ, არცთუ დიდია არჩევანი სხვადასხვა ტიპის მშობლის საჭიროებებზე მორგებული პროგრამებისა თუ სერვისებისა, რომლებიც ყურადღებას მშობლებსა და მოზარდებს შორის ურთიერთობებსა და მათზე მოქმედ ფაქტორებზე ამახვილებს.

აღნიშნული ეროვნული ანგარიში მოამზადა მკვლევართა ეროვნულმა ჯგუფმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული კვლევის ფარგლებში. კვლევა ეხებოდა მოზარდთა მშობლებისათვის მშობლობის მხარდაჭერ პროგრამებს და მასში რეგიონის 6 ქვეყანა (ბელარუსი, ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვა, მონტენეგრო და რუმინეთი) მონაწილეობდა.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, თუ როგორ ესმით მშობლობა მოზარდთა მშობლებს/აღმზრდელებს და როგორ აისახება ეს მათ ყოველდღიურ ურთიერთობებში მოზარდებთან. კვლევა ასევე ისახავს მიზნად, გამოიყენოს ანალიტიკური ჩარჩო ეკოლოგიური სისტემების კონტექსტში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები იმის თაობაზე, თუ როგორ ზემოქმედებს სხვადასხვა ტიპის გარემო აღზრდის მეთოდებსა და ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობაზე. კვლევის მიზანია მოზარდების მშობლებისთვის შექმნილი პროგრამების ან/და სერვისების გაანალიზება და ახალი მტკიცებულებების, ხარვეზების, საჭიროებებისა და რეკომენდაციების წარდგენა, რომლებიც შესაძლოა სამომავლო კვლევებისთვის და/ან პოლიტიკის შემუშავებისას იყოს გამოყენებული.

ანგარიში წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა მოზარდების, მათი მშობლებისა და სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში მოღვაწე პრაქტიკოსების, პოლიტიკის შემქმნელებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიერ მოწოდებულ მონაცემებს, და ის გაანალიზებულია კვლევის შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. როგორ ესმით და აღიქვამენ მშობლობას და აღზრდის რა მეთოდებს იყენებენ მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მშობლები/აღმზრდელები საქართველოში (ყველაზე მოწვევლადი ჯგუფების ჩათვლით)?
2. რა გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ინტერპერსონალური და მაკრო ფაქტორები (პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ დონეზე) მშობლობის ზოგად დინამიკაზე და აღმზრდელობით მეთოდებსა და სტილზე, მათ შორის, ყველაზე მოწვევლად ოჯახებში?
3. ვის მიმართავენ მოზარდები და მათი მშობლები ფორმალური ან არაფორმალური მხარდაჭერისთვის?
4. როგორ შეიძლება გავაძლიეროთ მშობლებისთვის შექმნილი პოლიტიკა და პროგრამები ისე, რომ მათ შეძლონ მოზარდების მშობლების საჭიროებების დაკმაყოფილება?
5. რაქნეს კვლევების წარმოების იძლევა შემუშავდეს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში პოზიტიური მშობლობის დანერგვას?

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები.

- კვლევის სამიზნე ჯგუფებია:
- მოზარდები მოზარდობის პერიოდის ადრეული (10-13) და გვიანი (14-17) ასაკობრივი ჯგუფებიდან;
- მოზარდების მშობლები/აღმზრდელები;
- წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ მოზარდების აღზრდასთან დაკავშირებულ პროგრამებზე, პროექტებსა და პოლიტიკის შემუშავებაზე.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 16 დისკუსია ფოკუს ჯგუფთან. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების კონფიდენციალობიდან გამომდინარე, მათი ჩართვა ფოკუს ჯგუფის დისკუსიებში, ვერ მოხერხდა. თუმცა კვლევის ეროვნულმა გუნდმა ამ სამიზნე სეგმენტთან დაკავშირება შეძლო „პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მხარდაჭერით და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებთან დამატებით 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

მოზარდთა მშობლობა

ფოკუს ჯგუფები გაიმართა თბილისში, კახეთსა და აჭარაში მცხოვრებ მოზარდებთან (8 ფოკუს ჯგუფი) და მოზარდების მშობლებთან/აღმზრდელებთან (8 ფოკუს ჯგუფი). საველე სამუშაოებმა 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი მოიცვა.

მონაცემები დაამუშავა და გააანალიზა ადგილობრივმა მკვლევართა ჯგუფმა რეგიონული საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციების მიხედვით. კვლევის ანგარიში არ წარმოადგენს დაწვრილებით შედარებით ანალიზს, რაც კვლევის ხარისხობრივი თვისებით და საკვლევი ნიმუშის მცირე ზომით არის განპირობებული.

ეროვნულ მკვლევართა გუნდმა აღნიშნული კვლევის ფარგლებში დამატებით აწარმოა საკაბინეტო კვლევა, რომლის მიზანია გააანალიზოს, თუ რამდენად აისახება, განიხილება და ეთმობა ყურადღება მოზარდთა მშობლებისთვის მიმართულ პროგრამებს დოკუმენტში შემოთავაზებული ეროვნული ლიტერატურის და კანონმდებლობის ფარგლებში. კვლევა მოიცავს (1) ლიტერატურის მიმოხილვას და (2) კანონმდებლობის მიმოხილვას მოზარდთა მშობლების პროგრამების თვალსაზრისით.

ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოზარდები ვითარდებიან სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ურთიერთობების კონტექსტში, რომლებიც, როგორც წესი, მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასთან ერთად იცვლება და თანდათანობით უფრო კომპლექსური ხდება. მზარდი სირთულეების ფონზე, მოზარდის უნარი, გაუმკლავდეს წინააღმდეგობებს, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ზოგადად აღზრდის სტილზე, აღზრდის მეთოდებსა და დამოკიდებულებებზე, რომლებსაც მშობლები მიმართავენ. კვლევამ აჩვენა, რომ აღზრდაზე სხვადასხვა მიკრო და მაკრო ფაქტორებიც ახდენს გავლენას. მაგალითისთვის, გამოვლინდა, რომ დემოკრატიზაციასა და კაპიტალიზმზე გადანაცვლების შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში მშობლობაზეც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა.

როგორ ესმით, როგორ აღიქვამენ და აღზრდის რა მეთოდებს მიმართავენ მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მშობლები/აღმზრდელები

იმის შესაფასებლად, თუ როგორ ესმით და აღიქვამენ მშობლობას, და აღზრდის რა მეთოდებს იყენებენ მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მშობლები/აღმზრდელები საქართველოში, ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- მიჯაჭვულობა და კავშირი;
- როლები და პასუხისმგებლობები;
- წესები და დისციპლინის მეთოდები;
- კომუნიკაცია და გადაწყვეტილებების მიღება;

- ავტონომია და თავისუფლება;
- მშობლის ჩართულობა მოზარდის ცხოვრებაში;

მშობლობის ეს საკითხები არათუ მკვეთრად არის გამოიჭნული ერთმანეთისაგან, არამედ მოზარდის ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი გადაჯაჭვულობის გამო, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. უფრო მეტიც, აღზრდის სტილი და პრაქტიკა, რომელსაც მოზარდთა მშობლები ირჩევენ, უცვლელი არ არის. გამომდინარე გარემოდან, საჭიროებებიდან და თავად მოზარდებისგან, მათი მშობლები სხვადასხვა სიტუაციაში მშობლობის სხვადასხვა სტილს მიმართავენ.

მიჯაჭვულობა და კავშირი მოზარდებსა და მშობლებს შორის

მიჯაჭვულობის დილემა საერთო გამოწვევაა მოზარდებისთვის. გარდა ემოციური კავშირისა, რომელსაც ისინი ავითარებენ და ინარჩუნებენ მშობლებთან, მათ სხვა ფუნდამენტური კავშირების დამყარებაც უწევთ, ამჯერად, თანატოლებთან. ეს კი გარკვეული ნორმების და ღირებულებების მიხედვით ქცევას მოიაზრებს.

მშობლები განსხვავებული ხარისხის და სახის ემოციურ კავშირებს ამყარებენ საკუთარ შვილებთან. ორივე სქესის მოზარდების თქმით, მათ სურთ მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ და უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს ისეთი საკითხების გაზიარებისას, რომლებიც მათ აწუხებთ.

„მინდა დედაჩემი ჩემი მეგობარი იყოს“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თელავი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

კვლევამ აჩვენა, რომ ამ კუთხით, აღზრდილს პრაქტიკა ყოველთვის ეფექტიანი არ არის. არის შემთხვევები, როდესაც მოზარდი მისთვის ყველაზე ემოციურ პერიოდებში ვერ გრძნობს მშობლის სათანადო მხარდაჭერას, რაც უარყოფითად აისახება მის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე.

„არ მინდა სახლში პრობლემებზე ვისაუბრო. როდესაც გავუზიარე, ისევ მე დამადანაშაულებს“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები; სოფლად მცხოვრები, თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

ბავშვობის ადრეული ასაკიდან მოყოლებული, მამებს უფრო ხშირად ახასიათებენ ავტორიტეტულ ფიგურებად - ისინი არიან მკაცრები, იძლევიან შენიშვნებს, მოითხოვენ ახსნა-განმარტებებს და სჯიან შვილებს. ხანდახან მამის ეს მკაცრი იმიჯი მომავალშიც, შვილების მოზარდობის პერიოდშიც, ნარჩუნდება. როგორც გოგო, ისე ბიჭი მოზარდები, აცხადებენ, რომ მამაკაცი მშობლების/აღმზრდელების გარემოცვაში უფრო თავშეკავებულად იქცევიან.

მოზარდები და მათი მშობლები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ყოველდღიურად სიყვარულის, ღირებულებების და თანაგრძნობის გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია მშობლებსა

და მათ მოზარდებს შორის ურთიერთკავშირის ჩამოსაყალიბებლად და გასაძლიერებლად. მოზარდებს სურთ, რომ მათი მშობლები თავიანთ სიყვარულს შვილისათვის მეტი დროის დათმობით და ყურადღებით გამოხატავდნენ, თუმცა ასევე მოითხოვენ პრივატულობას. მშობლები სხვადასხვა ასაკის შვილებს განსხვავებულ დროს უთმობენ და ყურადღებასაც სხვადასხვანაირად გამოხატავენ.

მოზარდები მიიჩნევენ, რომ მიჯაჭვულობა და ემოციური კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის ნდობასა და გულახდილობას ეფუძნება. მოზარდებს, რომლებსთვისაც, მშობლებთან ურთიერთობისას, გახსნილი კომუნიკაცია და გაზიარება ფუნდამენტური და ჩვეული გამოცდილებაა, უვითარდებათ თვითშემეცნების უნარი, თავდაჯერებულობა და ახასიათებთ უნარი, დაუფარავად გაუზიარონ მშობლებს საკუთარი მოთხოვნილებები და წუხილი/გრძნობები.

მშობლების/მომვლელების უმეტესობა მოზარდებს აქტიურად ურჩევს თანატოლებთან და ბებია-ბაბუებთან პოზიტიური კავშირების დამყარებას და მათზე ზრუნვას. თუმცა, მოზარდებიც და მათი მშობლებიც აღნიშნავენ, რომ მოზარდებისათვის უფრო მნიშვნელოვანია ახლო ურთიერთობა ჰქონდეთ მშობლებთან, ვიდრე თანატოლებთან და სხვა მოზრდილებთან. მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფმა მოზარდებმა აღნიშნეს, რომ ისინი თანატოლებს უფრო ენდობიან, ვიდრე მშობლებს.

კვლევის თანახმად, მშობლებსა და მოზარდებს შორის სუსტ მიჯაჭვულობასა და კავშირზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ზოგ შემთხვევაში ეს მშობლების მიერ შვილის საჭიროებების უგულვებელყოფით აიხსნება. მოზარდთან ურთიერთობისთვის მოუცლელობა ასევე არის მშობლის მხრიდან მოზარდთა საჭიროებების უგულვებელყოფის ერთ-ერთი მიზეზი. 14-17 წლის მოზარდების ფოკუს ჯგუფში მონაწილე გოგონა მოზარდის მოწყვლადობას სწორედ მშობლის მიერ მოზარდის გრძნობებისა და საჭიროებების უგულვებელყოფას უკავშირებს:

„როდესაც ბავშვები თავიანთ თავს ზიანს აყენებენ, ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი არ ღებულობენ საკმაო სიყვარულს ოჯახებისაგან, არც სხვა ვინმესგან [...] ზოგჯერ ასეთი მშობლები გაკვირვებულნი არიან, თუ ბავშვი ეცდება თვითმკვლელობას, მაშინ როცა ისინი არ აქცევენ ყურადღებას, თუ მათი შვილი რას აყენებს პირველ ადგილზე. ამიტომ ამ შემთხვევაში მშობლებიც დამნაშავე არიან“ (14-17 წლის გოგონების ფოკუს ჯგუფი).

მოზარდებში სარისკო ან პროტესტის გამომხატველ აქტივობებში ჩართვა, შესაძლოა, საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის ნაკლებობით იყოს განპირობებული, ასევე იმით, რომ ხანდახან არ მართლდება მათი მოლოდინები და ვერც მშობლებისგან/აღმზრდელებისგან იღებენ შესაბამის სიყვარულს და ყურადღებას. კვლევაში მონაწილე ფსიქოთერაპევტი აღნიშნავს, რომ მოზარდობის პერიოდში, ოჯახი ბავშვებისთვის ემოციური საყრდენი უნდა იყოს. თუ მშობლების მხრიდან სიყვარულის გამოხატვა მათ მოლოდინებს არ შეესაბამება, ისინი სხვაგან შეეცდებიან დანაკლისის შევსებას. შესაძლოა ისეთ აქტივობებში ჩაერთონ, რომლებიც დაარწმუნებს მათ, რომ ისინი უყვართ.

„ხანდახან, როდესაც მშობლები ყურადღებას არ აქცევენ და არ აინტერესებთ, რას აკეთებენ მათი შვილები, შვილებს სწყინთ, რადგან უყურადღებოდ რჩებიან. ისინი ცდილობენ ცუდად მოიქცნენ, რათა მშობლებისგან მიიღონ ყურადღება, რომლებიც ეტყვიან მათ, რომ არ მოსწიონ სიგარეტი, არ მოიქცნენ ისე ან ასე, არ იყვნენ გვიანობამდე გარეთ. თუ ღამის 12 სთ-მდე დარჩებიან გარეთ, რა თქმა უნდა, დაურეკავენ მშობლები და მოიკითხავენ. შესაძლოა, ასეთი ქცევის მიზეზი მშობლების ყურადღების მიქცევა იყოს“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

კვლევის მონაწილის მოსაზრებით, მოზარდმა უნდა იგრძნოს, რომ მშობლები მზად არიან მიიღონ ის ისეთი, როგორც არის.

„მშობელი მოზარდი შვილის მეგობარი უნდა იყოს; ეს საუკეთესო დროა სიგიჟეების ჩასადენად, ამისთვის უკეთესი დრო არ არსებობს, შემდეგ შეიძლება დაგვიანებული იყოს“ (KII მომსახურების მომწოდებელთან, სახელმწიფო სექტორი).

კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდები უკეთ გრძნობენ თავს, როდესაც ესმით, თუ რა იწვევს მათში ახალ შეგრძნებებს და აქვთ თავიანთი გრძნობების გამოხატვის საშუალება. საკუთარ თავში გაცნობიერებული მოზარდები, როგორც წესი, უფრო მშვიდად გრძნობენ თავს, გახსნილები და დარწმუნებულები არიან საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებში. უფრო ჩაკეტილი მოზარდები, რომლებიც ნაკლებად არიან მშობლებზე მიჯაჭვულები, ხშირად მიმართავენ თავიანთი გრძნობების იგნორირებას, შესაბამისად, ვერ აცნობიერებენ და არ საუბრობენ მათზე.

მშობლებისა და შვილების როლი და პასუხისმგებლობები

კვლევა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს უნივერსალური შეთანხმება ან სახელმძღვანელო იმის თაობაზე, თუ რა როლი და პასუხისმგებლობები უნდა ეკისრებოდეს ბავშვებსა და მშობლებს. თუმცა აშკარაა, რომ აღზრდის სტილს გენდერული თავისებურებებიც განსაზღვრავს, და დედასა და მამას ოჯახში განსხვავებული როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მოზარდთა ნარატივიდან გამომდინარე, გაირკვა, რომ საოჯახო საქმეები დედის ფუნქციაა და ოჯახში საოჯახო მოვალეობის განაწილება, ავტომატურად დედის საქმეების გადაწილებას ნიშნავს. ხოლო მამის როლი იშვიათად თუ სცდება ოჯახის მარჩენალისას. მოზარდების თქმით, ოჯახში ძირითადად დედაა მთავარი „მენეჯერი“ და პასუხისმგებელი პირი და ოჯახში განაწილებული როლების და მოვალეობების მონიტორინგზე ის არის პასუხისმგებელი.

კვლევის შედეგების თანახმად, მშობლებს აქვთ მოლოდინი, რომ საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობა მოზარდებმაც უნდა გაინაწილონ, დაწყებული საოჯახო საქმეებით, დამთავრებული სამსახურში დასაქმებით. ზოგიერთი ოჯახი გოგონებს და ბიჭებს ერთნაირ პასუხისმგებლობას აკისრებს, თუმცა გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილების მიხედვით, ბევრ ოჯახში მეტ პასუხისმგებლობას მოზარდ გოგონებს აკისრებენ. კვლევამ

ასევე ცხადყო, რომ გოგონები, განსაკუთრებით კი, შემდეგი მოწყვლადი ჯგუფებიდან - კანონთან კონფლიქტში მყოფი, სოფლად ან მარტოხელა მშობელთან მცხოვრები, სიღარიბეში მცხოვრები - ითავსებენ ფინანსურ პასუხისმგებლობასაც და ვალდებულებას, მოუარონ უმცროს/ასაკოვან ოჯახის წევრებსაც.

კვლევის მიხედვით, აღნიშნული პატრიარქალური გენდერული ნორმები თანდათან სუსტდება. ქალაქში მცხოვრები 14-17 წლის გოგონების ფოკუს ჯგუფის მიხედვით, ასეთ შეხედულებებსა და პრაქტიკას ადგილი ჰქონდა „ძველად, როცა ბიჭებსა და გოგონებს განასხვავებდნენ. დღესდღეობით ორივე სქესს ერთნაირად ეპყრობიან.“ მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი მოვალეობებს არ ანაწილებენ გენდერული ნიშნის მიხედვით. სოფელში მცხოვრებმა ერთ-ერთმა დედამ აღნიშნა: „მე ერთნაირ მოვალეობას ვაკისრებ გოგოს და ბიჭს. მე სახლის დალაგებას, ჭურჭლის დარეცხვას ვავალებ არა მარტო გოგოს, არამედ ბიჭსაც“. (ფოკუს ჯგუფი მოზარდების მშობლებთან, ბათუმი, 21 ოქტომბერი, 2017 წლი).

მშობლები ბავშვებს სხვადასხვა მოვალეობას აკისრებენ ახალი კომპეტენციების შეძენასთან ერთად, თუმცა სკოლაში სწავლას ბავშვების უპირველეს მოვალეობად მიიჩნევენ.

მშობლებს, როგორც ერთმანეთის, ისე შვილების მიმართაც, გააჩნიათ როლებისა და მოვალეობების შესახებ სპეციფიკური მოლოდინები. შესაბამისად, ოჯახში, მშობლებს შორის და ბავშვებსა და დედ-მამას შორის არსებული შეთანხმება ურთიერთდამოკიდებულია და თუ ერთ-ერთი ოჯახის წევრი ვერ შეძლებს მის მიმართ არსებული მოლოდინის გამართლებას, ეს ოჯახის სხვა წევრების როლებსა და მოვალეობებზეც იქონიებს გავლენას.

„დედაჩემი სამსახურში დილის 6 სთ-ზე მიდის და სახლში გვიან ბრუნდება, დაახლოებით 12-სთვის; მას არ შეუძლია სახლის მარტო დალაგება, ამიტომ ეს მე მეხება; ოჯახში დალაგება ჩემი მოვალეობაა (15 წლის გოგონა, კანონთან კონფლიქტში მყოფი; თბილისი, საქართველო, 15 ნოემბერი, 2017).“

თუმცა ოჯახის ყველა წევრი ყოველთვის როდი ეთანხმება და იწონებს დადგენილ წესებს და მოვალეობებს. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მოზარდები მშობლების მიერ დაკისრებულ როლსა და მოვალეობებს უსამართლოდ მიიჩნევენ.

„როდესაც რამის გაკეთებას მთხოვენ, ვეუბნები, რომ ჩემი ძმა უმცროსია, და ჩემს მაგივრად ის იზამს“ (17 წლის ბიჭი, კანონთან კონფლიქტში მყოფი; თბილისი, საქართველო, 17 ნოემბერი 2017).“

კვლევის მიხედვით, მშობლების აღზრდის სტილი გავლენას ახდენს მოზარდების მიერ თანთან როლებისა და მოვალეობების აღქმაზე. გახსნილი კომუნიკაცია ამცირებს მშობლებსა და მოზარდებს შორის დაძაბულობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკისრებული მოვალეობა მოზარდისთვის მიუღებელია. ის ასევე უწყობს ხელს მოზრდილებსა და ბავშვებს შორის თანამშრომლობას.

დისციპლინის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და პრაქტიკა

კვლევამ აჩვენა, რომ მშობლების ჩართულობას და მხარდაჭერას უმთავრესი როლი ენიჭება ბავშვებში თვითდისციპლინის განვითარებაში, მოზარდობიდან ზრდასრულობამდე გასავლელ გზაზე. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი უკავშირდება მოზარდების მოსაზრებას დისციპლინისა და დასჯის შესახებ. მათი აზრით, დისციპლინაში იგულისხმება ბავშვისთვის მიმართულების და სანიმუშო მაგალითების მიცემა, ასევე, გულახდილი კომუნიკაციის წახალისება, მაშინ როდესაც დასჯა ხშირად უშედეგო, აგრესიულ და შეურაცხმყოფელ პრაქტიკად მიიჩნევა. მსგავსი დამოკიდებულება შეინიშნება მშობლების მხრიდანაც. მათი აზრით, წესების დადგენისა და დისციპლინის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობა, თანამშრომლობა და გულახდილობა.

მნიშვნელოვანია მშობლების ინდივიდუალური ოჯახის ისტორიის გავლენა დისციპლინის მიმართ მშობლების დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე. საქართველოში მშობლების უმრავლესობა ავტორიტარულ სტილს ირჩევს, რომელიც საკუთარი ავტორიტეტის გასამყარებლად, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს იშველიებს. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ბუნდოვანია დასჯის მიზეზი და მიზანი. მშობელი არ ახდენს სწორ კომუნიკაციას შვილთან, რასაც შედეგად არ მოჰყვება მოზარდის ქცევის გამოსწორება.

დისციპლინასთან დაკავშირებული პრაქტიკა, ბავშვის ზრდასთან დაკავშირებით, იცვლება. მოზარდობის პერიოდში იგი უფრო მეტად ხდება სქესთან დაკავშირებული: მშობლები უფრო მეტად აკონტროლებენ და უწესებენ შეზღუდვებს გოგონებს, ვიდრე ბიჭებს. მშობლების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მოზარდობის პერიოდში ფიზიკური დასჯის მეთოდებს აღარ მიმართავენ.

„მთლად დასჯა არა, შეიძლება ხმას ავუწიო და ესაა; თუ ვყვირი - ყველა წყნარდება. (გოკუს ჯგუფი მოზარდების მამებთან; რელიგიური უმცირესობა; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

გამოიკვეთა კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი: შვილის დისციპლინის გასამყარებლად და არასასურველი ქცევის გამოსასწორებლად, მშობლები ხშირად ელექტრონულ მოწყობილობებთან შეზღუდულ წვდომას და მობილური ტელეფონების ჩამორთმევის ხერხს მიმართავენ. ყვირილი და ჩხუბი კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც ხშირად გვხვდება, მშობლები ამ გზით ცდილობენ საკუთარი ავტორიტეტის დამკვიდრებას.

„როდესაც შენი შვილი გაგიჟებს, როგორ უნდა შეიკავო თავი და არ ეჩხუბო?“ (გოკუს ჯგუფი მოზარდების მამებთან; სოფლად მცხოვრები, თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი დედა, როდესაც შვილი არ ასრულებს მიცემულ პირობას, ემოციური მანიპულირების ხერხს იყენებს. მაგალითად, 10-13 წლის გოგონამ აღნიშნა, რომ თუ გააზრახებს, დედა მას „სოფელში გაშვებით“ ემუქრება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საერთო ტენდენცია მშობლებში, კერძოდ კი, მამებში, რომლებიც ძალიან დადლილები და სასოწარკვეთილები ჩანან შვილების დაუმორჩილებლობით. აღმოჩნდა, რომ მხარდაჭერას და იმედს ისინი სასულიერო პირებთან (მაგალითად, მღვდლებთან) ეძებენ. თბილისელი მამები შვილებთან არსებული გადაუჭრელი კონფლიქტების მოსაგვარებლად ხშირად მღვდლებს მიმართავენ. მათი აზრით, მონასტერში ცხოვრება მოზარდის ქცევას შეცვლის და გამოასწორებს.

„მეორი წლის წინ გავაგზავნიდი მას მონასტერში, მაგრამ მითხრეს, რომ განსაკუთრებულად ძნელია მონასტერში დიდი მარხვის დროს“ (ფოკუს ჯგუფი მოზარდების მამებთან; ქცევითი პრობლემების, მრავალშვილიანი ოჯახი; დიდი ოჯახი, თბილისი, საქართველო).

ჯერ კიდევ ადრეული მოზარდობის პერიოდში მყოფმა გოგონებმა შენიშნეს შეუსაბამობა მშობლების სიტყვებსა და ქმედებებს შორის; ისინი საუბრობენ მშობლების არასწორ დამოკიდებულებებზე, რომლებიც მათი აზრით უსამართლოა.

„გვეუბნებიან, რომ ასე არ უნდა მოვიქცეთ; ჩხუბი არ მუშაობს, რადგან შვილი უარეს იზამს, ამიტომ მშობლებმა სხვა მეთოდი უნდა გამოიყენონ, უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ და მეგობრულად სთხოვონ შვილს რაღაცის გაკეთება“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თელავი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახებში, სადაც მშობლები აღმზრდელით სამუშაოს ეწევიან, და მოზარდებთან დიალოგი და ღია კომუნიკაცია წახალისებულია, მოზარდები უფრო იოლად გადიან მათი ცხოვრების ამ გადაწყვეტ ეტაპს. როდესაც მშობლებს/ აღმზრდეებსა და მოზარდებს შორის არსებობს პოზიტიური მიჯაჭვულობა და კავშირები, მოზარდებს უვითარდებათ პოზიტიური ღირებულებები, გამძლეობა, თვითშეფასება და დამაჯერებლობა. ღია კომუნიკაცია ხელს უწყობს მოზარდებში ნდობისა და კარგი გადაწყვეტილების მიღების უნარების ჩამოყალიბებას. მოზარდები უკეთესად იცნობენ საკუთარ თავს, უფრო თავდაჯერებულები არიან, აქვთ თავიანთი საჭიროებების, წუხილების/გრძნობების წვდომის უნარი, და შეუძლიათ მშობლებისთვის მათი შეულამაზებლად გაზიარება.

„ვერ წარმომიდგენია ურთიერთობა ჩემს მშობლებთან, რომ არ მენდობოდნენ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის ბიჭები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

„ყველას კარგი ურთიერთობა გვაქვს ოჯახში. მიყვარს მათთან საუბარი, დედ-მამასთან ერთად ვარჩევ, როგორ ჩაიარა დღემ სადილის დროს“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; თბილისი, საქართველო, 16 ოქტომბერი 2017).

მშობლები და მოზარდები მიიჩნევენ, რომ ნდობა და პატივისცემა ღია და გულწრფელი კომუნიკაციისათვის აუცილებელია, პოზიტიური კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღე-

ბის უნარი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნდობისა და პატივისცემის წარმოქმნას. როდესაც მოზარდი გრძნობს, რომ მშობელი ენდობა და პატივს სცემს მას, უჩნდება სურვილი, რომ მშობელთან ღიად ისაუბროს მტკივნეულ თემებზე, სთხოვოს რჩევა და ერთად მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება.

მოზარდების უმეტესობას სურს მშობლებთან ურთიერთობა, თუმცა არა ყოველთვის. პრივატულობა ერთ-ერთი მთავარი ასპექტია იმისათვის, რათა თავი ზრდასრულ ადამიანებად აღიქვან. მოზარდებს არ სურთ, რომ მშობლებს მოუთხრონ ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებაში ხდება. თუმცა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მშობლებისგან ინფორმაციის დამალვა სურთ, არამედ, ამით გამოხატავენ, რომ დამოუკიდებლობა არიან.

ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეულმა არათანმიმდევრულობამ და არასტაბილურობამ გავლენა იქონია ოჯახის დინამიკის ფორმირებაზეც. მოზარდის ზრდასთან ერთად, მშობლებსა და ბავშვებს შორის ხარისხიანად გატარებული დროის ხანგრძლივობა თანდათანობით მცირდება, შედეგად, მათი ურთიერთობა ემოციური მიჯაჭვულობისა და გულწრფელობის ნაკლებობით ხასიათდება. მოზარდები, რომლებიც საკუთარ მშობლებთან ფასეული და ხარისხიანი კავშირისა და კომუნიკაციის ნაკლებობას განიცდიან, დანაკლისის შესავსებად სხვა წყაროების ძიებას იწყებენ, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, სარისკო ქცევისა და აგრესიული გარემოს მიმართ მიდრეკილება წარმოშვას.

კვლევის თანახმად, თუ ბავშვის უახლოეს გარემოცვაში არსებული ურთიერთობები იშლება და მოზარდს წამახალისებელ და მხარდამჭერ გარემოს არ სთავაზობენ, მას სათანადოდ არ განუვითარდება ახალი გარემოს შექმნებისა და გამოწვევებთან გამკლავების უნარი. ასეთი ტიპის დანაკლისები, ხშირად ანტისოციალურ ქცევაში, დაბალ თვითშეფასებასა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის არასათანადო უნარებში გამოიხატება.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება

საკუთარი ფიზიკური ტრანსფორმაციის გამო, მოზარდებს თავი ზრდასრულად მიაჩნიათ, და სურთ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. სირთულეები ჩნდება მაშინ, როდესაც გონებრივი მომწიფება კვალდაკვალ ვერ მიჰყვება ფიზიკურ ზრდას. ასეთ შემთხვევაში, იმატებს იმპულსურობა. მოზარდები დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან და საკუთარი თავის დამკვიდრების მცდელობებს ავლენენ. ამ რთული პერიოდის გავლა არც მოზარდებისთვისაა მარტივი და არც მათი მშობლებისთვის.

„მოზარდები გაღიზიანებულები არიან უფრო მეტად და ასეთები სხვადასხვა ტიპის პრობლემებს აწყდებიან, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკური ცვლილებები მიდის და შეიძლება მათ არ ჰქონდეთ ამის შესახებ ინფორმაცია. და იმის გამო რომ არ იციან, რა ხდება მათ თავს, ხშირად შეიძლება დაცინვის ობიექტი გახდნენ ან თვითონ განახორციელონ სხვების მიმართ დაცინვა, სწორედ იმიტომ, რომ ვერ ხვდებიან, რომ ეს არის ძალიან ბუნებრივი რაღაც, რაც შეიძლება გამოსცადონ ან დაემართონ“ (KII პოლიტიკის შემქმნელთან, მთავრობა, თბილისი, საქართველო, 30 ოქტომბერი, 2017).

იმისათვის, რათა თავი დამოუკიდებლად იგრძნონ, მოზარდებს უნდა მიეცეთ თავისუფლება და ავტონომია, მათ უნდა გამოიმუშაონ გადაწყვეტილების მიღების უნარი, მაშინაც კი, თუ ეს ხშირად შეცდომების დაშვებასაც გულისხმობს. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი მშობელი და მოზარდი აცნობიერებს შვილებისთვის თავისუფლების მინიჭების მნიშვნელობას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოზარდი შეატყობინებს და გააცნობს მშობელს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

„ბავშვები თავისუფლებაში უნდა იზრდებოდნენ, ისინი დამოუკიდებლობას უნდა მიეჩვიონ; შემდეგ უნდა დააკვირდე, შეხედო როგორ იქცევიან და გადაწყვიტო, გაუშვა თუ არა სადმე შემდეგში“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თელავი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

კვლევის მონაწილე ფსიქოთერაპევტის თანახმად, ფსიქოლოგიაში დამტკიცებულია, რომ გრძელვადიან პერიოდში მოზარდებს თავადაც აწუხებთ საკუთარი იმპულსური ქმედებები. ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა იცოდნენ, როგორი საპასუხო რეაქცია ჰქონდეთ იმ ახალი რეალობის მიმართ, რომლის წინაშეც მოზარდობის პერიოდის დადგომასთან ერთად აღმოჩნდნენ. მოზარდების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მათ აუცილებელია ჰქონდეთ მშობლების მხარდაჭერა.

„ნებისმიერ შემთხვევაში, მშობელმა უნდა იცოდეს სიტუაცია და უნდა არსებობდეს ორმხრივი ნდობა. მაგალითად, ჩემს შემთხვევაში, დედაჩემი მენდობა, მან იცის, რომ სამეგობროდ ცუდ ადამიანს არ ავირჩევ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; დარბი ოჯახიდან, ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

მოზარდობის პერიოდი შესაძლოა მოიცავდეს ცხოვრების სტილის შეცვლას, მათ შორის, უფრო ხშირად გასვლას გარეთ, ურთიერთობების მიებას ოჯახის გარეთ, მეგობრების ახალ წრეს, სკოლის და სწავლის, როგორც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე აქტივობის აღქმას, ახალი/სარისკო გატაცებების ათვისებას, გარეგნული სტილის შეცვლას (მაკიაჟი, თმის ვარცხნილობა, სვირინგი, პირსინგი, ჩაცმულობის ახალი სტილი და სხვ.), სიგარეტის მოწევას, ალკოჰოლის მიღებას, გვიანობამდე გარეთ დარჩენას და ა.შ.

„ჩემთვის ცნობილია, რომ მათ პროტესტის გრძნობა აქვთ, მათ სურთ რაღაც განსხვავებული, უნდათ სხვანაირად მოქცევა, ადვილად ღიზიანდებიან“ (KII მომსახურების მიმწოდებელთან, საავადმყოფო; თბილისი, საქართველო, 13 ნოემბერი, 2017 წელი).

მიუხედავად მოზარდის ძლიერი სურვილისა, ჰქონდეს დამოუკიდებლობა ცხოვრების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით, კვლევამ აჩვენა, რომ გვიანი მოზარდობის პერიოდში მყოფი გოგონების გარეგნულ იმიჯზე მშობლებს კვლავ დიდი გავლენა აქვთ. თითქმის ყველა გოგონა აცხადებს, რომ ოჯახში მათი გარეგნობის კონტროლი დედის ფუნქციაა. ამ საკითხებში ჩარევას დედები საკუთარ პირდაპირ პასუხისმგებლობად აღიქვამენ. ზოგიერთმა დედამ გაგვიზიარა, რომ, როდესაც საქმე მათი მოზარდი შვილის გარეგნულ იმიჯს ეხება,

ის არის მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები პირი; იმას, თუ როგორ წარმართავენ ისინი ამ პროცესს, ხშირად განაპირობებს მათი კულტურული წარმომავლობა, ღირებულებები ან ოჯახში არსებული წეს-ჩვეულებები.

„თუ მივანიშნებ და არ გაითვალისწინებს ჩემს მოსაზრებას, ბევრს ვკამათობთ. საბოლოოდ მე ვიმარჯვებ და ისე იქცევა, როგორც მე მსურს“ (ფოკუს ჯგუფი მოზარდების დედებთან; სოფლად მცხოვრები; ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

„დედას შეუძლია მომაბრუნოს სახლში და შემაცვლევინოს ვარცხნილობა, თუ არ მოსწონს“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; თბილისი, საქართველო, 16 ოქტომბერი 2017).

თუმცა, კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მშობლების მიერ მოზარდების გარეგნობის კონტროლი ზოგიერთ მოზარდში უარყოფით განცდებს იწვევს. ადრეული მოზარდობის პერიოდში მყოფი ზოგიერთი ბიჭი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ თითქმის არასდროს ეძლევათ საკუთარ ჩაცმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალება. ზოგიერთი მოზარდის განცხადებით, მშობლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, მათ ხანდახან შიშის და სირცხვილის განცდა ეუფლებათ. გამოვლინდა, რომ ის, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ სხეულს მოზარდები, ხშირად ახდენს გავლენას მათ ზოგად დამოკიდებულებაზე საკუთარი თავის მიმართ.

„მამაჩემმა არ იცის, რომ თმა შევიჭერი, ვერ იტანს მოკლედ რომ მაქვს, ამიტომ, სავარაუდოდ მეხზობა“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თელავი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

გვიანი მოზარდობის პერიოდში მყოფი გოგონები და ბიჭები უფრო დამოუკიდებლები ხდებიან, მათ გადაწყვეტილების მიღების უნარის გამოყენების შესაძლებლობაც მეტი აქვთ და მოზარდობის ადრეულ პერიოდთან შედარებით, როდესაც, როგორც წესი, უფრო ემორჩილებიან მშობლებს, დადგენილ წესებს ამჯერად უფრო ნაკლებად ასრულებენ. გვიანი მოზარდობის პერიოდში ხშირია ამბოხება იმ წესების წინააღმდეგ, რომლებიც მათ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ავიწროებს;

„არ მაინტერესებს გაბრაზდება თუ არა“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის ბიჭები, თბილისი, საქართველო, 14 ოქტომბერი 2017).

„არ მინდა ჩემი მშობლები ერეოდნენ ჩემს პირად ცხოვრებაში. არ მინდა, რადგან თავად ვიცი, როგორ მოვიქცე. ასე თავს შეზღუდულად ვგრძნობ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის ბიჭები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

მოზარდები და მათი თანატოლები

კვლევის მონაწილე ფსიქოთერაპევტის თანახმად, მოზარდები, ერთი მხრივ, უპირისპირდებიან არსებულ წესებს და შეზღუდვებს, მეორე მხრივ კი, ყველაზე დიდ კონფორმიზმს ავლენენ იმ წესებისა და ნორმების მიმართ, რომლებიც მათი თანატოლების ჯგუფებშია დადგენილი. კონფორმიზმი და თანატოლთა ჯგუფებში გაერთიანება მნიშვნელოვანი გამოცდილებაა მოზარდებისთვის, როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ ეტაპზე. მზარდი მოთხოვნილება - იყო მიღებული თანატოლთა ჯგუფებში, ხანდახან მშობლის მიერ მისი ავტორიტეტისთვის საფრთხედ აღიქმება.

„ერთხელ ჩემი მეგობარი იყო სტუმრად და ცოტა მეუზრდელა, მამაჩემი გაბრაზდა და მითხრა, რომ მეორეჯერ ამ გოგოს დანახვა აღარ უნდოდა“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თბილისი, საქართველო, 4 ნოემბერი 2017).

„ვფიქრობ, კარგია, თუ გაქვს საშუალება, შვილს ურჩიო, თუ ვის ემეგობროს; ბევრი აგრესიული მოზარდია, რომელიც სულელური მიზეზით სხვის მოსაკლავადაც კია მზად; რატომ უნდა ემეგობროს შენი შვილი ასეთს და საბოლოოდ დაილუპოს ცხოვრება?“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

იმ შემთხვევაში, როცა მშობელს არასწორად ესმის მოზარდის სწრაფვა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის მოპოვებისკენ, როგორც ბუნებრივი პროცესი, ეს ხშირად იწვევს მშობელსა და მოზარდს შორის ბრძოლასა და გაუგებრობას.

მშობლები, განსაკუთრებით კი დედები, წუხილს გამოთქვამენ მოზარდი შვილების რომანტიკული ურთიერთობების გამო. მოზარდი გოგონების თანახმად, მათი მშობლები ხშირად ღელავენ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამაყვანებენ, თუ მათ შვილებს ვინმეს მიმართ რომანტიკული ხასიათის სიმპათია უჩნდებათ. მშობლების ღელვას საფუძვლად უდევს მათი შიში, რომ ემოციები შვილებს ხელს შეუშლის სწავლაში, ან, რომ სხვა მოვალეობებს უგულვებელყოფენ და მხოლოდ თავიანთ ემოციებს დაუთმობენ დროს, ან, რომ უახლოეს მომავალში დაქორწინდებიან. მსგავსი შიშები და ეჭვები მშობლებს აფიქრებინებს, რომ მათი ღელვა დასაბუთებულია, შედეგად, მოზარდ შვილებს ისინი უნდობლობით ეპყრობიან, შეიძლება შვილებს თავისუფლება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობაც შეუზღუდონ.

„დიახ, მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება; ის, რომ შეყვარებული მყავს, სულაც არ მიშლის ხელს სწავლაში. იციან, რომ შეყვარებული მყავს და როდესაც თურქულის გაკვეთილზე მივდივარ, ფიქრობენ, რომ გავაცდენ და მას შევხვდები; ასე არაა; ყოველთვის ეჭვით მიყურებენ, მაგრამ მაინც მიშვებენ“ (ფოკუს ჯგუფი, 14 - 17 წლის გოგონები; ბათუმი, საქართველო, 21 ნოემბერი 2017).

„ჩემს მშობელს სურს თავისი ბავშვობის ოცნება მე ავიხდინო, ამიტომ მიკრძალავს შეყვარებულის ყოლას, იციან ოჯახში, რომ მყავს, მაგრამ მიკრძალავენ, რადგან ფიქრობენ, რომ ეს მეცადინეობაში შემომლის ხელს“ (ფოკუს ჯგუფი, 14 - 17 წლის გოგონები; ბათუმი, საქართველო, 21 ნოემბერი 2017).

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ემოციური კავშირი მშობელსა და მოზარდს შორის არც ქრება და არც ძალას კარგავს, ბავშვის განვითარების გზაზე ის ყოველთვის ინარჩუნებს არსებით მნიშვნელობას; თანატოლებთან მიჯაჭვულობით, მშობლებთან მიჯაჭვულობა არ ნაცვლდება. ეს უკანასკნელი, მოზარდის ზრდასრულობაში კვლავაც უსაფრთხო და წარმატებული ტრანზიციის მნიშვნელოვან პირობად რჩება.

მშობლების ჩართულობა მოზარდის ცხოვრებაში

მშობლის მონაწილეობა მოზარდის ცხოვრების სხვადასხვა საკითხში, დაკავშირებულია შვილისადმი სიყვარულთან და პირად მოვალეობასთან. თუმცა მშობელთა დიდი ნაწილი რისკის შემცველი გარემო პირობებისადმი შიშით არის მოტივირებული.

მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ მშობლების ძირითადი საზრუნავია მოზარდების მატერიალური და ფიზიკური კეთილდღეობა. განათლება რიგით მეორე და მზარდი სფეროა, რომელშიც მშობლები აქტიურად ერთვებიან, რადგან სურთ თავიანთი შვილები მომავალი საქმიანობისთვის მოამზადონ. მშობლების გარკვეული ნაწილი ასევეა ჩართული თავიანთი შვილების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხებში. მშობელთა ძალიან მცირე ნაწილია აქტიურად ჩართული მოზარდების სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში. მშობლები უფრო მეტად ახალისებენ მოზარდთა მხრიდან ძალადობის გამოვლენას, ვიდრე მის პრევენციას.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

დედები და მამები თანხმდებიან, რომ მათი შვილების ჯანმრთელობა მათთვის პრიორიტეტულია. თუმცა გაცილებით მეტ დროს ხარჯავენ ბავშვების ჯანმრთელობაზე ადრეულ ასაკში, რადგან ამ პერიოდში, მოზარდობის ასაკთან შედარებით, ისინი უფრო დაუცველები არიან ავადმყოფობის მიმართ და არ აქვთ უნარი, დამოუკიდებლად მიხედონ საკუთარ თავს. მშობლები ასევე მეტ დროს უთმობენ თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილების ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

კვლევამ დაადგინა, რომ მოზარდებისთვის ჩვეული რამ არის ალკოჰოლის გასინჯვა ისეთ ადრეულ ასაკში, როგორცაა 11-12 წელი და როგორც ჩანს, არც ალკოჰოლის ადრეულ ასაკში მოპოვება წარმოადგენს სირთულეს. ალკოჰოლის მცირე რაოდენობით მოხმარების გამოცდილება ჩვეულია ბავშვებისთვის მოზარდობის როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ პერიოდში, ოღონდ უფრო ბიჭების, ვიდრე გოგონების შემთხვევაში. მშობლების, ისევე როგორც ბიჭების აზრით, სპორტული აქტივობები ის მთავარი ბარიერია, რამაც მოზარდებს შესაძლოა უარი ათქმევინოს ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაზე. სიგარეტის მოწევას მოზარდები უფრო გვიანდელ პერიოდში იწყებენ.

„ჩემს კლასელზე გავიგე, რომ დაიჭირეს სიგარეტის მოწევაზე. დედამ დაარტყა. არა მგონია ბიჭზე იგივენაირად მოქცეულიყვნენ. ასეთ მშობლებს მეტი პრობლემა გოგონებთან ექმნებათ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის ბიჭები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

განსხვავება შეინიშნება მშობლების აღზრდით პრაქტიკებში შვილების მიმართ, მათი სქესიდან გამომდინარე. ჩანს, რომ ბიჭ შვილებს უფრო თავისუფლად რთავენ სიგარეტის მოწევისა და ალკოჰოლის მიღების ნებას, ვიდრე გოგონებს. ზემოხსენებული მოსაზრებები იმით არის განპირობებულია, რომ ქალები, როგორც წესი, უფრო „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებად აღიქმებიან, და მათ მიმართ, თუკი შესაბამის ყურადღებას არ მიაქცევენ, ბიჭები მეტ ყურადღებას გამოამყვანებენ.

როგორც მოზარდები, ასევე მათი მშობლები, მიიჩნევენ, რომ მშობლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მოზარდებში არაჯანსაღი და სარისკო ქცევების პრევენციაში საკუთარი მაგალითის ჩვენებით. მოზარდების აზრით, ლექციები, ჩხუბი, დაშინება ან დასჯით დამუქრება, ეფექტიანი მეთოდი არ არის. როგორც მშობლები, ასევე მოზარდები, ემხრობიან ოჯახში პოზიტიური მაგალითის არსებობას და სჯერათ, რომ ეს როლი ძირითადად მშობლებს აკისრიათ.

*„შვილი მშობლის ანარეკლია, შვილები იმეორებენ იმას, რასაც შენში ხედავენ“
(ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; მრავალშვილიანი ოჯახი, თელავი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).*

*„თუ მამა სიგარეტს ეწევა, შვილიც მოსწევს. ეს ხშირია. მამაჩემი ეწეოდა, მეც ვეწევი. ვიცი ბევრი შემთხვევა, როდესაც მამა არ ეწეოდა და შვილიც არ ეწევა“
(ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი; ბათუმი, საქართველო, 22 ნოემბერი 2017).*

მშობლების ჩართულობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში

ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებასთან ერთად, ზრდის მნიშვნელოვანი და ბუნებრივი თანმდევი პროცესია სქესობრივი განვითარებაც. ობიექტური და კონკრეტული ინფორმაციის ღიად გაზიარება მოზარდებისთვის, მათ ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება, ისინი სწავლობენ, როგორ იგრძნონ თავი კომფორტულად სქესობრივი მომწიფების პერიოდში. სექსუალობის კვლევისას მოზარდები ბევრ შეკითხვას და პრობლემას აწყდებიან, და აუცილებელია, მათ მიმართ მშობლებმა მზრუნველობა, სიყვარული და ყურადღება გამოიჩინონ, მოუსმინონ მათ კითხვებს და წუხილს და ამ საკითხების თაობაზე ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ.

აღზრდა იშვიათად თუ გულისხმობს აუცილებლობას, მშობელმა მეგზურობა გაუწიოს მოზარდს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში. მოზარდების აღზრდა იშვიათად თუ მოიაზრებს მათთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების მიწოდებას. ცოტა მშობელი თუ გამოთქვამს მზაობას და უნარს, მისცეს შვილს საშუალება, რომ ის დამოუკიდებელ, სექსუალურად აქტიურ ზრდასრულად ჩამოყალიბდეს და ხელი შეუწყოს მას სექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებაში, ესაუბროს და რჩევები მისცეს შვილს სექსზე, სექსუალობაზე, ფიზიკურ ცვლილებებზე, რეპრო-

დუქციულ ჯანმრთელობაზე, რისკ-ფაქტორებსა და ამ თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მშობლები თავს იკავებენ ესაუბრონ შვილებს სექსუალობაზე, არის მათი შიში, რომ მცირე ასაკის ბავშვებისათვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდება მათ ნაადრევი სექსის მიმართ ინტერესს და სურვილს აღუძრავს.

მოზარდობის ადრეულ პერიოდში მყოფი მოზარდების თქმით, ისინი უხერხულობას განიცდიან და თავს არაკომფორტულად გრძნობენ მშობლებთან სექსუალობის გარშემო არსებულ საკითხებზე საუბრისას, ამიტომ, ამ თემაზე ინფორმაციის მოსაძიებლად, ამჯობინებენ ინტერნეტს მიმართონ.

„არავის ვკითხავ სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. „დავგუგლავ“ და თუ ვერაფერი ვნახე, შევწყვეტ ძებნას“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები; თელავი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

ადრეული მოზარდობის ასაკის ბავშვებს, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში, მშობლები მთავარ მრჩეველად და მენტორებად არ მიაჩნიათ. ეს შესაძლოა იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ მშობლებისგან ხშირად ესმით გამოგონილი, არაზუსტი ან არადაამაჯერებელი ამბები, მაგალითად, ბავშვის გაჩენასა და სექსუალობასთან დაკავშირებით.

„მათ მითხრეს, რომ სხვისი შვილი ვიყავი და თუ ცუდად მოვიქცეოდი, მეტყოდნენ, რომ სინამდვილეში სხვას ვეკუთვნი, და არა მათ“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები, მრავალშვილიანი ოჯახი; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

კვლევის შედეგების მიხედვით, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი სქესობრივ მომწიფებასა და სხეულის ცვლილებებთან დაკავშირებით, მოზარდ გოგონებს დედებმა უნდა გაუზიარონ. მხოლოდ რამდენიმე მამამ გამოხატა მზაობა, ნებისმიერ საკითხზე ესაუბრა შვილებთან, განურჩევლად სქესისა.

ზოგადად, კვლევის შედეგების მიხედვით, ჩანს, რომ სქესობრივი განათლება ბიჭებისთვის მამის საქმედ აღიქმება. თუმცა, როდესაც საქმე მოზარდ ბიჭებს ეხება, მამები აცნობიერებენ გარკვეულ ასაკში თავიანთი ბიჭი შვილების ბიოლოგიურ მოთხოვნილებას, დაამყარონ სქესობრივი კავშირი და მეტიც, ღიად და ფინანსურადაც კი უჭერენ მხარს ამ გამოცდილების მიღებას. მხოლოდ რამდენიმე მშობელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მათ შვილების დაცული სექსისთვის საჭირო ინფორმაციით შეიარაღების პასუხისმგებლობა აკისრიათ.

მიღებულია, რომ გვიანი მოზარდობის პერიოდში შესულმა ბიჭებმა პირველი სქესობრივი გამოცდილების მისაღებად ბორდელს უნდა მიმართონ. ასეთი ტიპის „ვოიაჟები“ ზოგიერთ შემთხვევაში ინიცირებულია და თავად მამებიც კი აფინანსებენ. თუმცა, ამავე დროს, მამები იშვიათად თუ საუბრობენ შვილებთან სამომავლო გამოცდილების შესახებ, ან აწვდიან რჩევებს დაცულ სექსთან დაკავშირებით.

„მთავარია ჰიგიენის ნორმების დაცვა, სხვა მხრივ, ბუნების საწინააღმდეგოდ ვერ წახვალ“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; თბილისი, საქართველო, 4 ნოემბერი 2017).

აღსანიშნავია, რომ მამები არ ავლენენ ტოლერანტულ დამოკიდებულებას გოგონა შვილების მიმართ, ქორწინებამდე დაამყარონ სქესობრივი ან ინტიმური ურთიერთობები. მოზარდი გოგონების მამები სექსუალობის საკითხებზე საუბარს საფრთხედ აღიქვამენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთ თემებზე საუბარი გამოიწვევს და დააჩქარებს შვილის სურვილს და ინტერესს სექსის მიმართ, რაც საბოლოოდ პრობლემებს შეუქმნის ოჯახს.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

მოზარდების სარისკო ან პროტესტის გამომხატველ აქტივობებში ჩართვა შესაძლოა საკუთარი თავის მიმართ სიყვარულის ნაკლებობით, ან იმიტაც იყოს განპირობებული, რომ ხანდახან არ მართლდება მათი მოლოდინები და მშობლებისგან/აღმზრდელებისგან ვერ იღებენ შესაბამის სიყვარულს და ყურადღებას.

„თინეიჯერების“ 98%-ს ეზიზღება საკუთარი თავი, დარჩენილ 2%-ს კი იმდენად ეზიზღება, რომ შესაძლოა საერთოდ აღარ უნდოდეთ სიცოცხლე. მათ რომ სიცოცხლე და საკუთარი თავი უყვარდეთ {თავს ასე არ იგრძნობენ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; ეთნიკური უმცირესობა; ბათუმი, 21 ოქტომბერი 2017).

გამოკითხული ფსიქოლოგის თქმით, ხშირად მშობლები ვერ აცნობიერებენ, რომ მათი აღზრდის სტილი საზიანოა ბავშვისთვის. არის შემთხვევები, როდესაც მშობლებს ესმით, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ არჩეულ საზიანო აღზრდის მეთოდებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ აქვთ უნარი, ალტერნატიული მიდგომების გამოყენებით გაუმკლავდნენ სიტუაციას.

„ვიტყობდი, რომ მშობლებს მწირი ინფორმაცია აქვთ. მაგალითად, ვისაც შვილი ფსიქოტერაპევტთან მოჰყავს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად, უძილობის, ნებისმიერ შემთხვევაში, თერაპევტმა იცის, რომ გარკვეული ქმედებები, მიდგომები და კომუნიკაციის სტილი მშობლების მხრიდან უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, და გამოიხატება გარკვეული ფსიქოსომატური პრობლემების არსებობაში...“ (KII მომსახურების მომწოდებელთან, საავადმყოფო, თბილისი, საქართველო, 1 ნოემბერი 2017).

კვლევამ გამოავლინა, რომ მოზარდები, რომლებსაც არ აქვთ ემოციური კავშირი მშობლებთან, და მათ ცხოვრებაში მყოფ მათთვის მნიშვნელოვან უფროსებთან ჯანსაღი მიჯაჭვულობის დეფიციტს განიცდიან, ასევე ხასიათდებიან თავდაჯერებულობის და გარემოს მიმართ ოპტიმისტური დამოკიდებულების ნაკლებობით და განსაკუთრებულ მოწყვლადობას/დაუცველობას ავლენენ სისასტიკის მიმართ. როდესაც მშობელი ვერ ასრულებს მოვალეობას, ვერ ხდება შვილის მთავარი მრჩეველი, მეგობარი, და ვერ უწევს მას თანმიმდევრულ მეგზურობას მოზარდობისას, მოზარდის თვისებები - თავდაჯერებულობა, კონტრო-

ლის მექანიზმები და უსაფრთხოება, სუსტდება ან მცირდება, რაც კიდევ უფრო ანელებს მათ „გამძლეობის“ უნარებს.

„...მშობლებმა შვილებს უნდა გამოჰკითხონ, რამე ხომ არ აწუხებთ, იმიტომ, რომ ამ გზით მათ საკუთარი თავისთვის დაზიანებების (ხელების გაჭრა, სხვ.) მიტანის პრევენციას შეძლებენ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; ეთნიკური უმცირესობა; ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

კვლევის მონაწილე მშობლების თანახმად, კარგმა მშობელმა უნდა შეძლოს შვილის მოთხოვნილებების და, ზოგადად, მდგომარეობის იდენტიფიცირება. საინტერესოა, რომ ეს არა დასწავლად, არამედ თანდაყოლილ უნარად უფრო აღიქმება.

„კარგი მშობელია ის, ვისაც ესმის შვილის საჭიროებები, მისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ვისაც ესმის შვილის მოთხოვნილებების 90%, და ზოგადი წარმოდგენა აქვს ლიმიტებზე“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

მშობლები, რომლებიც ზრუნავენ მოზარდების ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზე, საგანგებოდ მიუთითებენ, რომ საჭიროა ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილება და პირველი რისკის ნიშნების შემჩნევისთანავე, რეაგირება. ასეთი მშობლები მოზარდებს არწმუნებენ, უფრო გულახდილები იყვნენ და ესაუბრონ უფროსებს და მათ მოსასმენად უსაფრთხო გარემოსაც უქმნიან.

მშობლების ჩართულობა განათლების საკითხებში

განათლება ის სფეროა, რომელიც მშობლის აქტიურ მონაწილეობასა და კონტროლს მოითხოვს. შვილის მხარდაჭერა და დახმარება, განათლების მიღების კუთხით, მშობლის ერთ-ერთ მოვალეობად მიიჩნევა.

„მშობლის მოვალეობაა დაეხმაროს შვილებს განათლების მიღებაში, უნდა აკონტროლებდეს, რომ არ მიიღონ მცდარი გადაწყვეტილებები“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

მშობლებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ორივე სქესის მოზარდმა მიიღოს სათანადო განათლება. თუმცა გენდერის კუთხით მნიშვნელოვანი სხვაობები მაინც გამოვლინდა ისეთ საკითხებში, როგორცაა: რამდენი მეცადინეობაა საკმარისი თითოეული სქესის წარმომადგენლისთვის, როგორ უნდა გადანაწილდეს დრო მეცადინეობასა და საოჯახო საქმეებს შორის, რომელი პროფესიები შეესაბამება ამა თუ იმ სქესს და სხვ. თუმცა, ისევ და ისევ, გამომდინარე იმ წარმოდგენიდან, რომ კაცი ოჯახის მარჩენალია, ხანდახან მიიჩნევენ, რომ განათლების მიღება ბიჭებისთვის უფრო მნიშვნელოვანია.

ზოგიერთ ოჯახში, ბიჭი შვილები უფრო ჭკვიანებად ითვლებიან, ვიდრე გოგონები, შესაბამისად, მათგან უფრო მაღალ აკადემიურ მოსწრებას მოითხოვენ. ზოგიერთი მშობელი

ფიქრობს, რომ გოგონებს არ შეუძლიათ კომპლექსურ აკადემიურ თუ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებით ჩართვა. აღზრდის კუთხით, ამგვარ დამოკიდებულებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეაფერხოს მოზარდი გოგონების აკადემიური მოსწრება და განვითარება. კვლევის განმავლობაში გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გოგონებში წახალისებული არ ყოფილა ისეთი პროფესიების არჩევა, როგორცაა მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა.

„უმრავლესობა ოჯახებში, თუ გოგონა ამბობს, რომ სკოლაში ფიზიკაში 10-იანი მიიღო, ყველა მშობელი ბედნიერი იქნება მისი წარმატებით. მაგრამ, თუ გოგონამ თქვა, რომ მას სურს ფიზიკოსი გამოვიდეს, შესაძლოა დიდი წინააღმდეგობა შეხედეს, რაც გამომდინარეობს სულელური სტერეოტიპიდან, თითქოს გოგო არ უნდა გახდეს ფიზიკოსი. რადგან ფიზიკოსობა და მეცნიერება რთული პროფესიებია და კაცებისთვისაა, რადგან კაცებს „ყველაფრის დაძლევა შეუძლიათ“ და სხვა მსგავსი პატრიარქალური შეხედულებები“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

მშობლების წარმოდგენით, განათლების მიღება, კარიერა და ფინანსური დამოუკიდებლობა ურთიერთდაკავშირებულია. არის შემთხვევები, როდესაც დედები შვილებს მოუწოდებენ სწავლისკენ, რათა მომავალში კარიერა და საკუთარი შემოსავალი უზრუნველყოფილი ჰქონდეთ; გაირკვა, რომ ზოგიერთი დედა სწორედ განათლების არქონას და ადრეულ ქორწინებას ადანაშაულებს იმაში, რომ არ აქვს სამსახური. სწორედ ამიტომ, ცდილობენ, შვილებს საკუთარი შეცდომის მაგალითზე მისცენ განათლება.

სამწუხაროდ, ყველა მშობელი და სასწავლო დაწესებულება არ ავლენს სურვილს, დაეხმაროს ბავშვებს განათლების მიღებაში, თუკი მას სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აღენიშნება. ერთ-ერთი მონაწილის თანახმად, მათ, ვისაც სწავლის სირთულეები აქვს, ნაკლებ საშინაო დავალებას აძლევენ. როგორც მშობლები, ისე სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ასეთ ბავშვებს არ აქვთ სწავლის უნარი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდზე, რომელიც შეიძლება „დანებდეს“ და მეტი მუშაობით აღარ შეეცადოს შედეგების გაუმჯობესებას. შესაძლოა, მოზარდს სწავლის გაგრძელება სურდეს კიდევ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულების გამო, გადარჩენის ალტერნატიულ გზებს დაუწყოს ძიება.

„მათ, ვისაც სწავლის სიძნელეები აქვს, ნაკლებ საშინაო დავალებას აძლევენ, ჩემს კლასში ასეთი ბევრია... მინდა სკოლას მე-9 კლასის შემდეგ დავანებო თავი, რომ მქონდეს სწავლის გაგრძელების საშუალება, ალბათ გავაგრძელებდი. მაგრამ არა, უნდა გამოვიდე სკოლიდან... მირჩევენია სამსახური ვიშოვო...“ (ჩაღრმავებული ინტერვიუ 14 წლის ბიჭთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი; თბილისი, საქართველო, 17 ნოემბერი, 2017).

ასევე გამოვლინდა, რომ აღზრდის განსხვავებული სტილი აქვთ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების მშობლებს. კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი მშობლები გვიანი მოზარდობის პერიოდში მყოფ თავიანთ შვილებს ნებას რთავენ და ხანდახან აქეზებენ კიდევ, რომ მათ სწავლის ნაცვლად მუშაობა დაიწყონ.

„მამაჩემმა მითხრა, რომ ჩემი მასწავლებელი ურეკავდა ჩემი ცუდი საქციელის გამო, და რომ ყელში ამოუვიდა. მეუბნებიან, რომ კიდეც ერთი წელიც გავაგრძელო და შემდეგ შემიძლია მივატოვო სკოლა (და ვიმუშაო)“ (ზაღრმავებული ინტერვიუ 14 წლის ბიჭთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი; თბილისი, საქართველო, 17 ნოემბერი, 2017).

რიგ შემთხვევაში, მოზარდები ზეწოლას მშობლების მხრიდან ნიშნების გამო განიცდიან, რადგან მათ სჯერათ, რომ სკოლაში წარმატება მოზარდის მომავალი წარმატების საფუძველია. ზოგი მშობელი მოზარდის სწავლის „წასახალისებლად“ იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორცაა დასჯა, მობილური ტელეფონის წართმევა, დაჯილდოება ჯიბის ფულით ან ინტერნეტის დამატებითი დროით.

ზოგადად, მშობლები ნაკლებად მონაწილეობენ სკოლის საქმეებში. მათი აზრით, ის, რაც სკოლაში ხდება, მხოლოდ სკოლის საქმეა.

ძალადობის პრევენცია

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს ცხოვრების საკმაოდ ადრეულ ეტაპზევე უწევთ ძალადობასთან შეხება. მოზარდები ძალადობის შემსწრე ან მსხვერპლი ძირითადად ოჯახში, სკოლასა და უბანში ხდებიან. გამოვლინდა, რომ „ბულინგი“ სერიოზული პრობლემაა და ბიჭების ცხოვრებაში ხშირად გვხვდება ადრეული მოზარდობის პერიოდიდან. გოგონებთან შედარებით ბიჭები უფრო ხშირად ხდებიან „ბულინგის“ სამიზნე. 10-14 წლის ბიჭების თქმით, ბავშვები ერთმანეთის მიმართ ძალიან ხშირად ავლენენ აგრესიას სკოლაში, მათ შორის ხშირია დარტყმა, ჯაჯგური, ცემა და დაცინვა.

მშობლები და მოზარდის ცხოვრებაში მყოფი სხვა უფროსები, გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ესმით, რეაგირებენ და უმკლავდებიან ძალადობის მომსწრე ან მსხვერპლი მოზარდები თავიანთ ემოციებს. როდესაც მშობლები ვერ ახერხებენ მოთმინებით და მხარდაჭერით უპასუხონ მოზარდების მიერ გაზიარებულ ამბებს ძალადობაზე, შვილები აღარ უზიარებენ მათ მსგავს გამოცდილებებს, რადგან დასჯის, იგნორირების, კრიტიკისა და ეჭვის გაჩენის ემინიათ.

„არ მოვუყვები, რადგან საბოლოოდ მე დამადანაშაულებენ. თუ ვინმემ რამე გითხრა, უნდა მოგეთმინაო, მეტყვიან, მე ასეთ რაღაცებს ვერ ვითმენ“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

„რომ მოვუყვე, მეჩხუბებიან. ერთხელ კლასელმა დამარტყა და ვცემე, ცხვირში დამარტყა ისე, რომ გამისივდა, სახლში რომ მივედი, მე დამსაჯეს“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

მოზარდობის პერიოდში ბიჭები ე.წ. „ქუჩის აკადემიას“ გადიან. კვლევაში მონაწილე მამები არ ავლენენ შეშფოთებას იმ სარისკო ქცევების მიმართ, რასთანაც შესაძლოა ჰქონდეთ შეხება მათ შვილებს ე.წ. „ქუჩის აკადემიაში“. ამასთან, ამ „სკოლის“ გავლა მოზარდის ცხოვრებაში ერთ-ერთ საჭირო გამოცდილებად აღიქმება.

„ბიჭმა „ქუჩის აკადემია“ უნდა გაიაროს და იცოდეს, რომ პოლიციაში არ უნდა დარეკოს“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

მშობელი, შესაძლოა, გაუცნობიერებლად წაახალისებდეს კიდევ აგრესიასა და ძალადობას; ასეთი მშობლები ხშირად წაახალისებენ ძალადობაზე ძალადობრივ საპასუხო ქმედებას, რადგან შიშობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შვილი თანატოლებში დაიჩაგრება. მამები თავიან ბიჭ მოზარდებს თავდაცვას ასწავლიან და ურჩევენ, რომ თუ საჭირო იქნება, ბრძოლის ფიზიკური მეთოდებიც გამოიყენონ.

„მამაჩემი უფრო ბედნიერი იქნებოდა, თუ ვცემდი იმას, ვინც სხვებს ჩაგრავეს“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ყველა მოზარდი, რომელიც ძალადობის შემსწრე ან მსხვერპლი ყოფილა, ძალადობაზე რეაგირების მხრივ, უფროსების, განსაკუთრებით კი, მამების, რჩევებს ითვალისწინებს; შვილები ითვისებენ და პრაქტიკაში იყენებენ იმას, რასაც მშობლები უხსნიან და ასწავლიან. მშობლების დამოკიდებულებები და ღირებულებები დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ უმკლავდებიან მოზარდები სირთულეებს. ისინი მშობლების მაგალითზე სწავლობენ. მოზარდები აცნობიერებენ, რომ მშობლების ჩართულობას და რჩევებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბავშვების ქცევასა და უნარზე, გაუმკლავდნენ სარისკო ქცევას.

„მშობლის ბრალია, როდესაც შვილი გარეთ დგას და ეწევა სიგარეტს. შვილები სხვა გზაზე უნდა დააყენონ. არაა აუცილებელი მათი ცემა, როდესაც რამეს დააშავებენ. თუ მათში სწორი ღირებულებები არ ჩადებავშვობიდან, რთულია შემდეგ ასწავლო რამე ცემის გზით“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; ბათუმი, საქართველო, 21 ნოემბერი 2017).

ზოგიერთმა მოზარდმა გამოავლინა სირთულეებთან გამკლავების შინაგანი მზაობა, მათ შორის, თვითშემცნება და კონტროლი, რაც მათ სკოლაში ძალადობასთან გამკლავებაში ეხმარებოდა. თუმცა იმავე მოზარდებმა თანატოლების მიმართ ემპათიის გრძნობის არარსებობაც გამოავლინეს, ისინი თითქმის ვერ აცნობიერებენ, თუ რას შეიძლება გრძნობდნენ გარშემომყოფები. სკოლაში „ბულინგის“ თაობაზე მშობლების, განსაკუთრებით კი, მამების მიერ მიცემული რჩევები დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა ტიპის ღირებულებები უყალიბდება მოზარდს თანატოლების მიმართ.

რა გავლენას ახდენს მაკრო, ინტერპერსონალური და ინდივიდუალური ფაქტორები მშობლების აღზრდის მეთოდებსა და პრაქტიკაზე

როგორც კვლევამ აჩვენა, მშობლობის დინამიკა დამოკიდებულია სხვადასხვა მაკრო- და მიკრო- ფაქტორებზე. გამოვლინდა, რომ დემოკრატიზაციასა და კაპიტალიზმზე გადანაცვლების შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოში მშობლობაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ეკოლოგიური სისტემების ანალიტიკური ჩარჩოს მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მოზარდთა მშობლობაზე სოციალური ნორმები და კულტურა, ასევე, გენდერული ფაქტორები და თაობათა შორის ურთიერთობა. მხედველობაში იქნა მიღებული სიღარიბის, შეზღუდული შესაძლებლობის და ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების, ეთნიკურობისა და მიგრაციის გავლენაც მოზარდების მშობლობაზე.

მაკრო ფაქტორები, რომლების გავლენას ახდენს მშობლების აღზრდის მეთოდებზე

ეკონომიკური ფაქტორები

მაკრო დონეზე, მშობლებისა და აღზრდის კეთილდღეობაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ეკონომიკური ფაქტორი, სიღარიბე ახდენს. საქართველოს მოსახლეობის 20.1% სახელმწიფოს მიერ დადგენილ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება (*აზიის განვითარების ბანკი, სიღარიბე საქართველოში, 2015*). შესაბამისად, ყოველი მეხუთე ოჯახისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ჰქონდეს საკმარისი ფული ოჯახის გამოსაკვებად. სიღარიბე, აღზრდის ყველა ეტაპსა და ასპექტზე ახდენს გავლენას.

სტაბილური და საკმარისი შემოსავლების არარსებობის გამო, მშობლებს ერთდროულად ბევრ სამსახურში, არანორმირებულ საათებში, ან სახლიდან შორს უწევთ მუშაობა - ეს ფაქტორები შვილებთან გატარებული დროის ხანგრძლივობასა და ხარისხზე ნეგატიურად აისახება.

მამებს, რომლებიც, ტრადიციულად, ოჯახის მარჩენალად ითვლებიან, ხშირად უწევთ ოჯახიდან ფიზიკურად მოშორებით ყოფნა. ოჯახში გატარებული დროის სიმცირე, როგორც წესი, გულისხმობს დისტანციურ ურთიერთობას მოზარდებთან. გარდა ამისა, ხშირად ვერც ხანგრძლივი დროით მუშაობა უზრუნველყოფს საკმარის ან სტაბილურ შემოსავალს ოჯახში. მამებმა აღნიშნეს, რომ ფინანსების არარსებობის გამო, უჭირთ შვილი მოზარდების უკეთესი განათლების უზრუნველყოფა, ან მათი წახალისება, ჩაერთონ სხვადასხვა ფიზიკურ თუ გონებრივ აქტივობებში სკოლის გარეთ.

„აი, ვზრდი ბავშვს და არ მაქვს ადეკვატური საშუალება, პირობები შევუქმნა განათლებისთვის, სპორტისთვის, ა.შ.“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ღარიბი; ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

„ჩვენ შემთხვევაში ასე არაა, ყველა ცდილობს ბევრი რამ აკეთოს, და არა ერთი, შედეგად, შვილებისთვის ნაკლები დრო გვრჩება, რომ ვესაუბროთ, ვასწავლოთ რამე, ა.შ. ჩვენ ასე არ ვართ, ჩვენ ათასობით რაღაცაში ვართ ჩართული და დრო არ გვრჩება შვილებისთვის“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ღარიბი, ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

მშობლობის ტრადიციული სტილი ჯერ კიდევ ძლიერია საქართველოში, თუმცა ზოგიერთი ოჯახი თანამედროვე მშობლობის მეთოდების ათვისების პროცესში იმყოფება.

„ყველაფერი შეიცვალა, რომელიც არც კარგია, არც ცუდი, უბრალოდ განსხვავებულია. ევროპასა და შეერთებულ შტატებში ცვლილებები მოხდა თანდათან [...], მაშინ როცა ჩვენთან ეს იყო დარტყმა! და ერთ დღეს ჩვენ გავიღვიძეთ მობილური ტელეფონებით ხელში... შევცვალეთ ჩვენი 06 მარკის მანქანები ბემევე-თი. ჩვენ არ ვიყავით ამისთვის მზად“ (სამთავრობო სერვისის მომწოდებელი).

სიღარიბე მშობლებს არ აძლევს იმის საშუალებას, შეიძინონ ან იქირაონ ბინა, გავიდნენ საკუთარი მშობლების სახლიდან და დამოუკიდებლად იცხოვრონ. შედეგად, ერთ ოჯახში, ერთდროულად რამდენიმე თაობის წარმომადგენელი ცხოვრობს და ოჯახის წევრების პირადი სივრცე ირღვევა. ხშირად, მშობლები არ მიესალმებიან უფროსი თაობის ოჯახის წევრების ან/და ნათესავების ჩარევას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

თუმცა ბებია-ბაბუებთან ცხოვრებას და/ან ახლო ურთიერთობას უპირატესობებიც აქვს. ისინი დადებით გავლენას ახდენენ მოზარდების განვითარებაზე. ბებია-ბაბუები უფრო მიმტევებლები არიან შვილიშვილების მიმართ, მეტ თავისუფლებას და მხარდაჭერას სთავაზობენ მათ, რასაც მოზარდები ხშირად თავიანთი მშობლებისაგან ვერ იღებენ.

პოლიტიკური ფაქტორები: ბავშვთა უფლებები

მშობლები მოუმზადებელი შეხვდნენ ბავშვთა უფლებების კონვენციის, საერთაშორისო კანონებისა და პოლიტიკის შესრულებას, რომელთა მიღება დაკავშირებული იყო ქვეყნის მიერ დემოკრატიული პრინციპების აღიარებასთან.

მშობლები, რომლებიც ავტორიტარული მშობლობის მეთოდებით აღიზარდნენ, თავადაც აღზრდის ავტორიტარულ სტილს მიმართავენ და ფიზიკური დასჯის მეთოდებს იყენებენ, რაც მოზარდებში იმედგაცრუებას იწვევს. ასევე აშკარაა, რომ ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კანონები და ნორმები მშობლებს უფრო ყურადღებიანს ხდის დასჯის მეთოდების მიმართ. მრავალმა მომვლელმა აღნიშნა, რომ მშობლები აღარ ცემენ ბავშვებს იმის შიშით, რომ ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს შეძლება აცნობონ.

სოციალური ტრანსფორმაცია: ციფრული ასაკი

ციფრული სამყარო გავლენას ახდენს მშობლობის დინამიკასა და პრაქტიკაზე. მოზარდები და მათი მშობლები ასევე გამოხატავენ წუხილს, რომ ინტერნეტისთვის დათმობილი დრო უარყოფითად აისახება დროის ერთად გატარებაზე, ურთიერთობის ხარისხსა და კავშირზე. მოზარდები და მშობლები შეიძლება სახლში იყვნენ, მაგრამ არა ერთმანეთთან, არამედ თავიანთ ტექნოლოგიებთან.

ინტერნეტმა, სოციალურმა მედიამ და სმარტფონებმა ჩუმი სოციალური რევოლუცია მოახდინა, რამაც შეცვალა თაობათაშორის ურთიერთობა.

„ბავშვებმა იპოვეს თავისუფლება ინტერნეტში“, აღნიშნა დედამ, „მათ აღარ აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან, არ სვამენ კითხვებს, როდესაც რაიმე ინტერესებთ, უბრალოდ ეძებენ ინფორმაციას ინტერნეტში და სულ ეს არის“ (მოზარდების დედების ფოკუს ჯგუფი, სადარბის ზღვარს ქვემოთ არსებული ოჯახები. თელავი, საქართველო, 2017 წლის 29 ოქტომბერი).

ციფრული მედია მოზარდებს აძლიერებს როგორც რეალური, ასევე წარმოსახვითი გზით: ცოდნით აღჭურვილი ბავშვები ცდილობენ, რომ გადაწყვეტილების უფლების მოსაპოვებლად, მშობლებთან მოლაპარაკება აწარმოონ. ბევრ მშობელს არ სურს უფლებების დათმობა. ასეთი სიტუაცია საფუძველს ქმნის თაობათაშორის კონფლიქტისთვის და ახალგაზრდებს რისკის ქვეშ აყენებს.

მშობლები სათანადო ცოდნას არ ფლობენ საიმისოდ, რომ ბავშვებს თავიდან ააცილონ ინტერნეტთან დაკავშირებული რისკები. იცინი სხვადასვა გზით ცდილობენ საფრთხის აცილებას: ზოგი ცდილობს, რომ ბავშვს გაუხანგრძლივოს ინტერნეტით, სოციალური მედიით და მობილური ტელეფონით სარგებლობის დაწყების ასაკი. მშობელთა უმეტესობა მოზარდს ინტერნეტით სარგებლობის დროს უზღუდავს. ზოგი მშობელი შვილს ასწავლის, თუ როგორ დაბლოკოს ტექსტები და უცნობი პირებისაგან მიღებული მეგობრობის მოთხოვნა. მშობლები მეთვალყურეობასაც უწევენ მოზარდების ინტერნეტთან დაკავშირებულ საქმიანობებს, თუმცა სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის სიმწირის გამო, მათ მაინც უძნელდებათ რისკების შემცირება.

გეობრაფიული მდებარეობის გავლენა მშობლობაზე: მშობლობა ქალაქად და სოფლად

განსხვავებები გამოვლინდა სოფლად და ქალაქად მცხოვრები მშობლების აღზრდის მეთოდებშიც. პატარა ზომის დასახლებებში მაცხოვრებლებს შორის უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ერთმანეთს იცნობდნენ. სოფლად აღზრდა უფრო კოლექტიური აქტივობაა. ზოგიერთ შემთხვევებში, ის შესაძლოა იმდენად ძლიერი იყოს, რომ სხვა უფროსს, მაგალითად, მშობლის მეგობარს ან ნაცნობს, ეძლევა უფლება შენიშვნა მისცეს მოზარდს, ან დასაჯოს ის როგორც ვერბალურად, ისე ფიზიკურად.

„როდესაც ყველანი აქ ვართ (სოფელში), უფლება მაქვს ვერხუბო მის შვილს, მივცე შენიშვნა, წამოვარტყა ან ვცემო კიდეც თუ დაამავებს“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; სოფლად მცხოვრები; ეთნიკური უმცირესობები, ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

განსხვავებები გამოვლინდა აღზრდის მეთოდებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთანაც. მამის როლი აქაც იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან მამა ქალიშვილის ნაცვლად იღებს ძალიან სერიოზულ გადაწყვეტილებებს.

„გეტყვი, ნაწილობრივ ბოშა ვარ, ქართველი ვარ, მაგრამ დედა მყავს ბოშა. ჩვენთან ასეთი წესია, რომ გოგონა ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, 17 ან 18 წლის ასაკში ქორწინდებიან, ხანდახან 12 წლისაც; ჯერ ბავშვები არიან, და რომც არ უნდოდეს, თუ მამა ეტყვის, უნდა წავიდეს; შეიძლება სულ არ უნდოდეს ქორწინება გოგოს, მაგრამ მშობლების გამო უნდა გათხოვდეს“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; ეთნიკური უმცირესობები, მრავალშვილიანი ოჯახი; თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

გამოვლინდა დადებითი ტენდენციაც, აღმოჩნდა, რომ ახლო ურთიერთობები ყალიბდება მოზარდებსა და მშობლებს შორის იმ ოჯახებში, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და აქვთ ფერმა, ან გარკვეული სახის მცირე საოჯახო ბიზნესი. მშობლებმა აღნიშნეს, რომ დროის გატარება მოზარდებთან და საერთო აქტივობებში ჩართვა მათ გამოცდილებაზე პოზიტიურად მოქმედებს.

ინტერპერსონალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს აღზრდის სტილზე

კვლევამ აჩვენა, რომ მშობლებს, რომლებიც მოზარდებს თბილად ეპყრობიან და ენდობიან, აღზრდის ამგვარი მეთოდი სასიკეთოდ უბრუნდებათ - მოზარდებს უვითარდებათ პოზიტიური ქცევები, ხშირად მიმართავენ მშობლებს რჩევისა და მხარდაჭერისათვის მათთვის რთული სიტუაციების დროს.

„შეიძლება შეხვდე გოგონას და ვერ შეძლო მშობლისთვის ამის თქმა, რადგან უხერხულობას გრძნობ. მე არ მქონია ასეთი შემთხვევა. მე პირდაპირ მივდივარ მათთან და ვეუბნები. მე ვცდილობ, რომ არ დავშალო რაიმე, რადგან თანდათან ყველაფერი მუდგანდება. თუ მე მათ პირდაპირ ვეტყვი, ისინი რჩევას მომცემენ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის ბიჭები, თბილისი, საქართველო).

ამავე კვლევის თანახმად, თუ ბავშვის უახლოეს გარემოცვაში არსებული ურთიერთობები იშლება და ამ დროს მოზარდს არ სთავაზობენ წამახალისებელ და მხარდამჭერ გარემოს, მას სათანადოდ არ განუვითარდება ახალი გარემოს შემეცნების და გამოწვევებთან გამკლავების უნარი. ასეთი ტიპის დანაკლისები, ხშირად ანტისოციალურ ქცევებში, დაბალ თვითშეფასებასა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის არასათანადო უნარებში გამოიხატება.

კიდეც ერთი მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება „ბრძოლას ძალაუფლებისთვის“ მშობლებსა და მოზარდებს შორის. ეს ცნება გამოიხატება კონფლიქტში მშობლის ავ-

ტორიტეტსა და მოზარდის მზარდ მისწრაფებაში ავტონომიისა და დამოუკიდებლობისთვის. მშობლების, მოზარდებისა და ფსიქოლოგების მონათხრობიდან ირკვევა, რომ მოზარდებს, უფროსების სამყაროსგან გამოყოფის და საკუთარი გარემოს შექმნის ტენდენცია ახასიათებთ.

ასეთი პროცესები ბუნებრივია, თუმცა მშობლებისთვის მაინც გამოწვევას წარმოადგენს და მათში ავტორიტეტის დაკარგვის შიშს ბადებს. რადგან შვილების ინდივიდუალურობისკენ სწრაფვას მშობლები „ძალაუფლებისთვის ბრძოლად“ აღიქვამენ, ზედმეტ ძალაუფლებას იჩენენ და ხშირად მკაცრი და სადამსჯელო გზებით ცდილობენ მოზარდების დამორჩილებას. კვლევის თანახმად, ხანდახან მოზარდები მშობლების ამ ქცევას მორჩილებით პასუხობენ და ნებდებიან, ან, პირიქით, ებრძვიან მათ, უპირისპირდებიან და განაგრძობენ სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ, რაც მათსა და მშობლებს შორის ამძაფრებს კონფლიქტებსა და გაუგებრობას.

ერთ-ერთი დადებითი დაკვირვება, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა, გამოიხატება პოზიტიურ კავშირში ავტორიტარულ და წამახალისებელ აღმზრდელობით სტილსა და მოზარდების უნარს შორის, გამოწვევები თანამშრომლობითი და კონსტრუქციული გზებით გადალახონ. კვლევამ აჩვენა, რომ მშობლები, რომლებიც „ძალაუფლებისთვის ბრძოლას“ მოზარდებისთვის ზრდასრულობისაკენ სვლის პერიოდში მეგზურობის შესაძლებლობად იყენებენ, მათთვის დაცვის, მზუნველობის და ემპათიის შეთავაზებით, ეხმარებიან შვილებს თავდაჯერებულობის, თვითშეგნების და საკუთარ შესაძლებლობებში რწმენის გაღვივებაში.

მშობლისა და მოზარდის პოზიტიური ურთიერთობა მაგალითია საიმისოდ, თუ როგორ უნდა მოექცნენ სხვებს შვილები (ორივე სქესის) და როგორ უნდა მოექცნენ მათ სხვები.

სოციალური კონტროლის ძლიერი ტრადიციები გავლენას ახდენს მშობლობის სტილსა და პრაქტიკაზე. სოციალური განკითხვის შიში დედებს ხელს უშლის სხვებთან თავიანთ სიმწიფეებზე საუბარსა და მათგან რჩევისა და მხარდაჭერის მიღებაში. კულტურული თვალსაზრისით, სწორედ დედები არიან ძირითადი პასუხისმგებლები შვილის ქცევაზე და თუ შვილი ცუდად მოიქცევა, მაშინაც მათ ადანაშაულებენ. დედების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ისინიც და მათი მოზარდებიც, უნდა მიესადაგონ მიღებულ სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განსჯის საგანი გახდებიან.

მოზარდების უმეტესობა აღნიშნავს, რომ მშობლები აკონტროლებენ, ნაცვლად იმისა, რომ გაუგონ და აპატიონ შეცდომები; მშობლები მოზარდებს, იმის მაგივრად რომ მოუსმინონ, უკითხავენ ლექციებს, აკრიტიკებენ და საჯაროდ უცხადებენ საყვედურს. შედეგად, მოზარდები მათ თავს არიდებენ:

„მე უფრო მეტად მეშინია დედის, ვიდრე მამის, თუმცა არცერთთან არ შემიძლია საუბარი“ (გოკუს ჯგუფი, 10-13 წლის ბიჭები).

მოზარდთა ინდივიდუალობის გამომხატველი გრძნობები მეტად საშიში ხდება მშობლებისთვის და მათ აღზრდის ავტორიტარული სტილის გამოყენებისკენ უბიძგებს.

ინდივიდუალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს აღზრდაზე

გენდერულობას მეტად ძლიერი გავლენა აქვს იმაზე, თუ მშობლობის რა სტილს გამოიყენებს მშობელი. აღმოჩნდა, რომ მშობლები უფრო მკაცრად სჯიან ბიჭებს. მაგრამ ისინი ასევე იჩენენ სიმკაცრეს გოგონების მიმართ - მათ უფრო ნაკლებ ავტონომიასა და თავისუფლებას ანიჭებენ.

„ვინაიდან გოგონები სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, მათ გარკვეული ჩაცმულობა ან გარეთ გვიანობამდე გასვლა უნდა აკრძალოთ. რა თქმა უნდა ბიჭს უნდა აუბსნა, რომ გოგონებთან ძალადობა არ შეიძლება, თუმცა, ბიჭთან ჩაცმულობაზე საუბარი საჭირო დიდად არ არის, გოგონებისგან განსხვავებით“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; სოფლად მცხოვრები, თელავი, საქართველო, 29 ოქტომბერი 2017).

ეს განსაკუთრებით იჩენს თავს მოზარდების რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობების სფეროში. მოზარდ ბიჭებს მშობლები ხშირად ახალისებენ, რომ თავიანთი „მამაკაცობა“ გამოავლინონ და მაშინაც ნაკლებად ისჯებიან, თუ გოგონას დააორსულებენ.

გოგონები კი ხშირად ისჯებიან სექსუალური ურთიერთობის ან დაფეხმძიმების შემთხვევაში. ხშირად, მოზარდი ბიჭები, როდესაც ხედავენ, რომ მშობლები გოგონებს შეზღუდვებს უწესებენ, თავს მათზე აღმატებულად გრძნობენ და თავი ვალდებულად მიაჩნიათ, ეუფროსონ მათ.

კვლევის თანახმად, საქართველოში მოზარდების მშობლები, გოგონების უსაფრთხოებაზე უფრო ღელავენ და მათ დაცვაზე მეტად არიან ორიენტირებულნი. მშობლების აზრით, მათი სარისკო ქმედებისგან დაცვის ძლიერი ხერხებია, მაგალითად, გარეთ გატარებული დროის შეზღუდვა ან ჩაცმულობის გაკონტროლება.

„როდესაც დედა და ბებია მიკრძალავენ წასვლას ჩემი ძმის თანდასწრებით, ხოლო მას არ ეკრძალება წასვლა; ჩემი ძმაც მეუბნება, რომ სახლში დავრჩე, რადგან მშობლები ყოველთვის მიკრძალავენ გარეთ გასვლას. არადა მე ხომ ვიცი, ცუდს არაფერს ვიზამ“ (ფოკუს ჯგუფი, 14-17 წლის გოგონები; მრავალშვილიანი ოჯახი, ბათუმი, საქართველო, 21 ოქტომბერი 2017).

ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის და ქრონიკული დაავადების მქონე შვილის ყოლა ასევე ახდენს გავლენას მშობლობის სტილზე, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით მშობლის მოვალეობების შესრულებაში ხელი ეშლებათ. ასეთი მშობლები თავიანთ მოზარდებს დამატებით მომვლელის როლს აკისრებენ ან საოჯახო საქმეებს ავალებენ. მეტიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ან ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრები, მოწყვლად ჯგუფებად ითვლებიან. რესპონდენტებს სჯერათ, რომ ის ფაქტიც კი, რომ ოჯახის წევრი არის რაიმეთი „განსხვავებული“, უკვე გავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე და შეიძლება მისი სტრესის საფუძველი გახდეს. გარდა ამისა, ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც მოზარდს განსხვავებულად წარმოაჩენს, თანატო-

ლების მხრიდან შეიძლება მათი „დაბუღინგების“ მიზეზი გახდეს. ხშირად, ასეთი ფაქტორებია: ეთნიკური და ეროვნული ნიშანი, წონა, სოციოეკონომიკური სიტუაცია ოჯახში, საცხოვრებელი ადგილი.

„შეზღუდული შესაძლებლობის ქონა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი ყოლა, ისევე როგორც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფში ყოფნა, ზედმეტი სიგამხდრე ან ჭარბი წონა, ბავშვებს უფრო მოწყვლადს ხდის, რადგან ისინი ამის გამო ხშირად ხდებიან ბუღინგის მსხვერპლი სკოლაში; ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან, ვინც სახელწიფოს მიერ მართულ ბავშვთა სახლში, მინდობით აღზრდაში ან თავშესაფარში ცხოვრობს, ასევე განეკუთვნება ამ ჯგუფს. პრაქტიკულად, ყველაფერი, რაც მათ გამოარჩევს უმრავლესობისაგან, შესაძლოა ჩაითვალოს მოწყვლადი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის წინაპირობად“ (KII მომსახურების მომწოდებელთან, არასამთავრობო ორგანიზაცია, თბილისი, საქართველო, 20 ოქტომბერი, 2017).

უმცირესობის ჯგუფების მშობლები უფრო ხშირად მიმართავენ მშობლობის ავტორიტარულ სტილს. გენდერული საკითხი კი უფრო მეტად არის დამახასიათებელი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის მშობლებისათვის. მაგალითად, მუსლიმი დედა შვილს ასწავლის, რომ საპირისპირო სქესთან ურთიერთობა აკრძალულია.

„ვერ მოვუყვები მამაჩემს, რომ დღეს სკოლაში ყვავილები მაჩუქეს, შემრცხვება. დედაჩემს კი ვეტყვი“ (ფოკუს ჯგუფი, 10-13 წლის მოზარდი გოგონები, ეთნიკური უმცირესობა; ბათუმი, საქართველო, 28 ოქტომბერი 2017).

ვის მიმართავენ მოზარდები და მათი მშობლები ფორმალური და არაფორმალური მხარდაჭერისთვის?

კვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად გარკვეული სამართლებრივი აქტებისა და „მთავრობის სამოქმედო გეგმაში“ მითითებული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტებს გაუჭირდათ მოზარდებთან და მათ მშობლებთან დაკავშირებული კონკრეტული პროგრამების დასახელება ან სპეციფიკურ მხარდაჭერ პოლიტიკაზე საუბარი.

ფორმალური მხარდაჭერა

მიუხედავად სწრაფი და აშკარა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოლოგიური ცვლილებებისა, ხშირად, მოზარდობის პერიოდი, ბავშვის ცხოვრებაში, განსაკუთრებული მოწყვლადობის პერიოდად არ აღიქმება. მშობლებს უჭირთ გააცნობიერონ სწრაფი ცვლილებები, რომლებსაც მათი შვილები განიცდიან და ხშირად ამ ახალ რეალობას მოუპოვებდებიან ხვდებიან.

პროგრამების დიდი ნაწილი ორიენტირებულია 5 წლამდე ბავშვებზე, ხოლო 5-დან 18 წლამდე ბავშვების ჯგუფი, ფაქტობრივად, სამთავრობო პროგრამებს მიღმა რჩება.

მოზარდებისთვის არსებული პროგრამების უმრავლესობა, გარდა ისეთებისა, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის, ქცევითი პრობლემების ან სხვა მძიმე დიაგნოზის მქონე ბავშვებზეა ორიენტირებული, არ მოიცავს მშობლის კომპონენტს. ზოგჯერ მშობლები დასმარებას სთხოვენ მასწავლებლებს, ექიმებს, მაგრამ იმ სტიგმის გამო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის ან ფსიქიკური პრობლემის და ა.შ., მიმართ არსებობს, ურჩევნიათ, დახმარება ფსიქოლოგისაგან ან სოციალური მუშაკისაგან მიიღონ.

კვლევის თანახმად, მოზარდებისა და მათი მშობლების უმრავლესობის აზრით, პოზიტიური მშობლობა დასწავლადია და შესაძლებელია მისი პრაქტიკაში გამოყენება. მოზარდების თქმით, შესაძლოა, მშობლებს უარყოფითი რეაქცია ჰქონდეთ მხარდამჭერ და გამაძლიერებელ პროგრამებში ჩართვაზე და უარი თქვან აღზრდასთან დაკავშირებულ სერვისებზე, რადგან მოზარდების აზრით, მშობლები არ აღიარებენ მშობლობის შესახებ განათლების მიღების საჭიროებას.

გამოვლინდა, რომ მშობლები, ზოგადად, შვილის აღზრდის საკითხებში დახმარების გარე წყაროებიდან მიღებას, ენთუზიაზმით არ ეკიდებიან. ზოგიერთი მშობლის აზრით, შესაძლოა ყველაფერი არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ფლობენ ბავშვის აღზრდისთვის საკმარის განათლებას და შესაბამის უნარებს.

„არავის ვკითხავ, თუ როგორ გავზარდო ჩემი შვილი, ვინც არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ურთიერთობა ჩემს შვილთან, და ისე გავზრდი მას, როგორც მე მინდა; როგორც მე გამზარდეს ზრდილობიანი, ისე გავზრდი მასაც, არ მჭირდება არავის ჩარევა. ბავშვის აღზრდა პირველივე თვეს იწყება, ახლა ჩემები მოზარდები არიან, ცხოვრება გვიჩვენებს, როგორ მოვიქცეთ“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; სოფლად მცხოვრები, ბათუმი, საქართველო, 22 ოქტომბერი 2017).

გარე წყაროებისგან დახმარების მიღებას მაშინ უფრო მიესალმებიან, როდესაც მხარდაჭერაში იგულისხმება დახმარება კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად და იმ გამოცდილი მექანიზმების დასაუფლებლად, რომლებიც მუშაობს მოზარდებთან ურთიერთობისას. სწორედ მოზარდების მშობლებსა და მათ შვილებს შორის არსებული კომუნიკაცია დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ პრობლემად.

„მინდა ვისწავლო ისეთი მექანიზმები, რომლებიც მუშაობს, ვისწავლიდი იმას, რაც არ ვიცი“ (ფოკუს ჯგუფი, მოზარდების მამები; მრავალშვილიანი ოჯახი, ქცევითი პრობლემები, თბილისი, საქართველო, 4 ნოემბერი 2017).

კვლევის თანახმად, მშობლების უმრავლესობის აზრით, ფინანსური დახმარება ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი ოჯახისთვის, რომელსაც არ შეუძლია შვილების ფუნდამენტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო განათლება და რეკრეაციული შესაძლებლობები მათი შვილებისთვის, რათა მათ გაუღვივოს ინტერესი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების შესაფერისი აქტივობების მიმართ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, მხარდამჭერი პროგრამების განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ინიციატივის არარსებობა მთავრობის მხრიდან, ითანამშრომლოს არასამთავრობო და კერძო სექტორთან. ერთ-ერთ ბარიერად დასახელდა ინტერესის და სურვილის არარსებობა ბენეფიციარი მშობლების მხრიდანაც, რაც ასევე უშლის ხელს პროგრამების წარმატებულად განხორციელებას.

არაფორმალური მხარდაჭერა

მოზარდებს, რომლებმაც იციან, თუ როგორ დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობა მშობლებთან და სხვებთან, იმის უნარიც აქვთ, რომ დახმარებისთვის მშობლებსა და თანატოლებს მიმართონ.

მოზარდები, როდესაც დაცვა ან კონფლიქტების მოგვარებაში დახმარება სჭირდებათ, მიმართავენ მშობლებს, ნათესაებს, მეგობრებს ან მასწავლებლებს, რომლებსაც ენდობიან. როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფმა ერთ-ერთმა ბიჭმა აღნიშნა:

„თუ მე შემაშინებენ, მე მივმართავ ბიძას“ (14-17 წლის ბიჭების ფოკუს ჯგუფი).

ემოციური მხარდაჭერისათვის, ინფორმაციისა და რჩევისათვის კი, მოზარდები, ძირითადად, თანატოლებს მიმართავენ.

ბევრმა მოზარდმა გამოხატა გარკვეული სიფრთხილე ამხანაგების მიმართ, და მეტი ნდობა მშობლებისადმი. 10-13 წლის გოგონათა ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა:

„თუ მშობლებს შეადარებ მეგობრებს, შენი დედა და მამა არასოდეს მოგცემს ცუდ რჩევას, მაგრამ მეგობარს შეუძლია რაიმე ცუდი გაგიკეთოს, მოგცეს ცუდი რჩევა“ (ფოკუსური ჯგუფი, 10-13 წლის გოგონები, ეთნიკური უმცირესობა, თელავი, საქართველო, 2017 წლის 28 ოქტომბერი).

მოზარდები, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნისა და რჩევისათვის, სულ უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს.

შეზღუდულია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მშობლები არაფორმალურ დახმარებას ოჯახის გარეთ ეძებენ. დედებისა და მამების მხოლოდ მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ ისინი რჩევისა და სოციალური/ემოციური დახმარებისათვის მიმართავენ მეგობრებს, რომელთაც ენდობიან. მშობლები ენდობიან ეკლესიას, მის მიერ მიცემული რჩევა სანდოდ მიიჩნევა.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები შემუშავდა თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე და ორიენტირებულია მშობლებისთვის ისეთი ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდების განვითარებასა და ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებას. მოზარდთა მშობლობის მხარდამჭერი პროგრამების გასაძლიერებლად შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1:

შეზღვევას პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ მოზარდების და მათი მშობლების სპეციფიკურ საჭიროებებს.

- გადაიხედოს არსებული ლეგალური ინსტრუმენტები და პოლიტიკა, რათა მათში აისახოს მოზარდობასთან დაკავშირებული განვითარებისა და ქცევის თავისებურებები.
- მოხდეს ლეგალური და პოლიტიკის ინსტრუმენტების, ასევე, მშობლობის მხარდამჭერი პროგრამების, სერვისებისა და ინიციატივების გაძლიერების ადვოკატირება, და მოზარდთა მშობლების, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლების, და სხვა მარგინალური ოჯახების საჭიროებებისა და კომპეტენციების აღიარება.
- შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდთა პოზიტიურ მშობლობას და შეამცირებს სტრესს, რომელიც განაპირობებს იმას, რომ მოზარდთა მშობლობა დღესდღეობით გაცილებით მძიმე ადრინდელთან შედარებით (მაგალითად, ეკონომიკური არასტაბილურობა, ფასების ზრდა, სუსტი სოციალური დახმარების სისტემა და ა.შ.).

რეკომენდაცია 2:

გაძლიერდეს მოზარდთა მშობლობის გაფართოებულ, მიზნობრივი მხარდაჭერის ადვოკატირება

- შემუშავდეს სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც პოლიტიკის შემქმნელებსა და მოსახლეობას მოზარდთა მშობლობის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების, მხარდაჭერის აუცილებლობისკენ მოუწოდებს.
- შემუშავდეს სოციალურ და ქცევის ცვლილებებზე დამყარებული საკომუნიკაციო კამპანია, რომლის მიზანიც იქნება მოზარდთა პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერის გაფართოება, მოზარდთა შესახებ არსებული უარყოფითი შეხედულების დაძლიერება და მოზარდებსა და მშობლებს შორის მათი როლებისა და მოვალეობების შესახებ დიალოგის ჩამოყალიბება.
- გაფართოვდეს მშობლობის ეფექტიანი მოდელი, რომელიც მხარს დაუჭერს არა მარტო მშობლებს, არამედ სხვა მომვლელებსაც.

რეკომენდაცია 3:

გაძლიერდეს მთავრობის უნარი, თუ როგორ იცვლება მოზარდთა მობილურობა და რა საჭიროებები აქვთ მოზარდთა მობილურობას

აღზრდის მეთოდი, რომელიც კარგად მუშაობდა წინა თაობაში, შეიძლება აღარ იყოს ეფექტიანი ან ლეგალური. მშობლებსა და მომვლელებს ესაჭიროებათ ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს არა მარტო დაიცვან და გააძლიერონ თაობათაშორისი ურთიერთობა, არამედ მოამზადონ ახალგაზრდა, მოზარდობისათვის სწრაფად ცვალებად გარემოში.

კვლევამ გამოავლინა ექვსი პრიორიტეტული სფერო, რომელთა შესახებაც საჭიროა უფრო საფუძვლიანი ინფორმაციის ქონა:

- პოზიტიური მშობლობა და სიძლიერეზე დაფუძნებული მიდგომა მოზარდთა განვითარებისა და მოზარდთა მშობლობისადმი
- როგორ არის ასახული მოზარდთა და მშობლების უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობაში
- ცოდნა, უნარ-ჩვევები და პრაქტიკა - დაკავშირებული მშობლობასა და ოჯახური კონფლიქტების მედიაციასთან
- ციფრული სამყაროს პირობებში მოზარდთა მშობლობა
- რა გავლენას ახდენს მიგრაცია მშობლობაზე
- ცოდნა, თუ როგორ იცვლება გენდერის და თაობების როლი, მოვალეობები და ურთიერთობები.

მოპოვებული მტკიცებულებები დონორებს, მთავრობებს, პოლიტიკის შემქმნელებს და პრაქტიკოსებს დაეხმარება მოზარდებსა და მათ მშობლებთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრაში.

რეკომენდაცია 4:

გაძლიერდეს ინტერსექტორული და კორიფონტალური თანამშრომლობა მოზარდების მობილურობის და თავად მოზარდების მხარდასაჭერად

მოზარდებს და მათ მშობლებს, ხშირად გამოწვევებით სავსე მოზარდობის პერიოდის წარმატებით გასავლელად, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ესაჭიროებათ. მოზარდობის გაუმჯობესებული შედეგების მისაღწევად კი, საჭიროა ინტეგრირებული, მულტისექტორული მიდგომების გამოყენება.

აღნიშნული რეკომენდაციის პრიორიტეტებია:

- ინტერსექტორული თანამშრომლობის და კოორდინაციის მექანიზმების განვითარება და გაძლიერება სხვადასხვა სამინისტროებს, ძირითად პარტნიორებს და იუნისეფის ყველა სექტორს შორის, მოზარდებისა და მოზარდების მშობლების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით, მოწყვლადი ოჯახების.
- ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის გაძლიერება, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად მშობლობასა და მშობლობის მხარდამჭერ პროგრამებთან და სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რეკომენდაცია 5:

გაძლიერდეს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების შესაძლებლობები მოზარდების პოზიტიური მშობლობის მხარდასაჭერად.

- სერვისის მიმწოდებლების შესაძლებლობების გასაძლიერებლად საჭიროა მოზარდებთან და მოზარდების მშობლობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების გამოყენება, რათა მათ შემდგომ შეძლონ მოზარდთა მშობლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება და მოზარდებთან ეფექტიანი კომუნიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საკითხებს, როგორცაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მენტალური ჯანმრთელობა.
- უნდა გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები, რათა თავიანთ პროგრამებში მოზარდებისა და მათი მშობლების მიმართ გამოიყენონ ე.წ. „დაფასებაზე ორიენტირებული“ (რომლის დროსაც აქცენტი კეთდება მშობლის ძლიერ მხარეებზე აღზრდის მეთოდების თვალსაზრისით) და არა „დეფიციტზე ორიენტირებული“ მიდგომა, რომელიც იწვევს იმ მოზარდებისა და მათი მშობლების სტიგმატიზაციას, რომლებიც სოციალურ და კულტურულ ნორმებში არ ჯდებათ.
- სერვისის მიმწოდებლები და პრაქტიკოსები უნდა აღიჭურვონ ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რომელიც საჭიროა მშობლობის სფეროში არსებული დეფიციტებისა და მოზარდების მოწყვლადობის გამოსავლენად და მხარდასაჭერად. ეს მოიცავს კოორდინირებულ აქტივობას სტიგმის შესამცირებლად, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და განსხვავებულობის მიმართ.
- სასწავლო გეგმებში ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, კეთილდღეობისა და პოზიტიური მშობლობის საკითხების ინტეგრირებისთვის, საჭიროა თანამშრომლობა. განათლების, სპორტის და კულტურის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროებთან. ეს ხელს შეუწყობს მომავალი მასწავლებლების, ჯანდაცვის პროფესიონალების და სოციალური მუშაკების მომზადებას.

- საჭიროა გაიზარდოს ადგილობრივი მმართველობების შესაძლებლობები, რათა პერიოდულად შეისწავლონ და შეაფასონ ჩატარებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია 6:

პროგრამების ღირებულება, მონიტორინგი და შეფასება უნდა ასახავდეს მოზარდებსა და მათ შობ- ლებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ გამოწვევებს და შესაძლებლობებს.

- მოხდეს მშობლობის მხარდამჭერი პროგრამების წარმატებული მოდელების იდენტიფიცირება და მისი ადაპტაცია არსებულ კონტექსტში.
- მშობლობის მხარდამჭერი პროგრამების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი მდგრადობა. ისინი ასევე უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის ანალიზს მათი შემდგომი გაფართოების მიზნით. ამავე დროს, დონორებმა და სხვა ფინანსურმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან დაფინანსების მოქნილი მექანიზმი მშობლობის ინიციატივების დასაფინანსებლად.
- მშობლებთან თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს, დაიტესტოს, მონიტორინგი ჩატარდეს და შეფასდეს ინოვაციური, ვირტუალური პლატფორმა (მაგალითად, ვებგვერდი, სოციალური მედიის ჯგუფები, ტექსტური გზავნილებისა და იმეილის გაზიარების ფუნქცია), რომელსაც საკუთარი ბრენდი ექნება და მშობლებს მიაწვდის ინფორმაციას, ცოდნას და რჩევებს მოზარდთა მშობლობის მხარდასაჭერად.
- საჭიროა მოზარდებისა და მათი მშობლების ჩართვა პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა საფეხურზე.
- მოზარდები და მათი მშობლები უნდა ჩაერთონ თანატოლთა დამხმარე ჯგუფების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში (მაგალითად, მოზარდებისა და მშობლების თვითდახმარების ჯგუფები, მოზარდებისა და მშობლების საგანმანათლებლო ჯგუფები და ა.შ.).

